

№ 6 უოველ-კვირეული სალიტერატურო ჟურნალი № 6

წლიური ხელის მოშვებით:

ზირველ ზრეძით ძიეცემათ: სტეჰნიაკის მოთხრობა „სახლი ვოლგის ნაპირზე“. მეორე ზრეძით: ირეთელის ახალი ოთხ-მოქმედებიანი ჰიესა „სიცილი“. პირველი წიგნი დაურეგდებათ თებერვლის დამლეფს. მეორე — აგვისტოს პირველ რიცხვებში, ვინც თებერვლის გახვლაჲდე სრულად შემოიტანს მთელი წლის ფულს ორავე წიგნს მიიღებს.

შინაარსი: ვ. რუხაძე — ლექ. „ნუსტირი დედა“ ვ. მალაქიაშვილი — მოთხ. „სამოთხეში“. ნ. ზომლეთელი — ლექ. „მეგობარს“. ფ. რუშაველი — ეტიუდი — „ოჯახის პატიოსნება“; ბ. გელა — ლექსი * — ა. ლომთათიძე — მოთხ. „სახარობელასკენ (ლ. ანდრეევისა) ბაბილინა — ლექ. „ურვა“. შვარცი — „ცოტა რამ ხელფანებაზე“. თურდოსპირელი — ლექ. „ონდმერთო ჩემო“. ირეთელის მოთხ. „აზობა“ (განს-ვეერსისა) — ი. რუსულ ახალ მწერლო ის ისტორია (კოჯანისა)

ყოველ-კვირეული საკოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„მომავალი“

„ვოხნი“

გამოდის ყოველ დღე, გარდა კვირა ჟემის მეორე დღეებისა. გაზეთი ღირს: როგორც თფილისში ისე თფილისს გარეთ ერთი წლით 7 მან., ნახევარი წლით 4 მან. ქალაქ გარეთ: 3 თვით — 2 მან. 50 კ. 1 თვით — 90 კ. თფილისში: 3 თვით — 2 მ. 20 კ. 1 თვით — 80 კაპ.

გამოდის იმავე პროგრამით, როგორც 1909 წელს გამოდიოდა.

გაზეთის ფასი: წლიურათ

ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოიგზავნოს: Тифлисъ Типографія „Шрома„ Калистрату Константиновичу Шуладзе,

ქალაქში დატარებით 3 მ. —; ვინც რედაქციაში მოიკითხავს გაზ. დაეჟმობა 2 მ. 50 კ. ქალაქ გარეთ 3 მ. — კ. ნახევარი წლით, 2 მ. — კ. საში თვით. 1 მ. — კ.

რედაქციის ადრესი: Кутаисъ, Валахванская ул., домъ № 37- Редакция „ПОНИ“.

ნუ სტირი დედა!

მე ავით ვარ, ძალა მეღვეა,
ვიწკა, თან-და-თან მედება ალი;
შენ თავს მადგიხარ მწარეთ ქვითინებ,
მდულარე ტრემლით გვესება თვალი.

ნუ სტირი დედავი მე არ მოვკლები:
ტურფა ბუნებას შევუერთდები
და ნაზ მცენარეთ, უცხო ყვავილათ,
ზურმუხტ მინდორზე გადავიშლები.

არ მრწამს სიკვდილი, არარაობა...
სამარადისო არის ცხოვრება:
სიცოცხლე, ბრძოლა არსებობისთვის,
იქვე იწყება, სადაც თავდება!

გ. რუხაძე,

სამოთხეში

(დ.სასრული იხ. „სხივი“ № 5).

სიჩუმეა. ყვავილთა სუნნელებით მთვრალია
თბილი ჰაერი. შავთ ნაქარგი კრეტსაბმელი გადუ-
ბურავს იქაურობას. ყველა და ყველაფერი ყურს
უგდებს მდინარის ტალღათა იღუმალ ტლაშანს. ეს
ვეფრატია!.. უტყვი მოწამე პირველ ადამიანის ნე-
ტარებისა. ის შავი გველივით იღუმალის სისინით
მიიკლაკნება აბიბინებულ დედამიწის გულმკერდზე
და შორს, შორს უსაზღვრო ზღვისაკენ მიაქვს სა-
მოთხის საიდუმლოება... გრძნეულათ, სევდის აღმ-
ძვრელათ მიქმინავდა ვეფრატი... თან მოზურმუხ-
ტებულ ნაპირების დაშორება ენანებოდა და სადაც
კი მოახერხებდა ისარივით მიიჭრებოდა ტალღებით
და გრძნობით ჩაკოცნიდა იქაურობას... შემდეგ კი
ენმოკლული განაგრძობდა გზას...

ადამიც იქ იყო... ყვავილნარში. მას გაქარვე-
ბის წილ ვეფრატი სევდას უასკეცებდა. ვერ ეპოვნა
ტალღათა ტლაშანში გულის მალამო.

— ოხ, გულს ლოდათ ედება აქაურობა — წამო-
იხრა ადამმა... მინდა რაღაც ვსთქვა, ამოვიკვნი-
სო, სული და გული თან ამოვატანო, მარა რა ვთქვა
არ ვიცი!.. მსურს ლაპარაკი, ნაღვლის ამონთხევა,
წყევით აღსავსე ამოხევა! მარა ვის მივმართო? არ
ვიცი, ღმერთმანი არ ვიცი!.. სული და გული რა-
ღაცამ დამშხამა, დასერა, შეკრა შეაარტახა... სუ-
ლი მეგუბება!..

— ამ წუთს უბოროტესი ქმნილება ვარ, უსა-
ზიზღრესი არსება!.. რომ შემეძლოს მთელ სამყაროს

შეებილწავდი, წავწყმედდი!.. მთელ ქვეყანას მოვს-
პობდი გავანადგურებდი...

ბუნება თრაოდა ამ რისხვაზე, კანკალებდა.

— საიდან მოვიდა, საიდან ეს უსაზღვრო სევდა,
მთელი სხეულის მომსპობი, განმანადგურებელი კა-
ეშანი... ახ, ერთის წუთით მაინც შემეძლოს ამის
გაგება, ერთის წამით მაინც... და მერმე გენის
კოცონსავით ჩემის ხელით შევინთებდი ფეხებ ქვეშ
და სიამოვნებით ჩაეხვრებდი ჩემის სხეულიდან და-
ნადენ წვეს — დამნარ ხორცს...

ბუნება შეზანზარდა, შედრკა.

— ვის მოვთხოვო, ვის, პასუხი?..

სასოწარკვეთილმა ადამმა თავი ჩაქინდრა. ის
დიდხანს, იყო ასე.

— ადამ, ნობათს გიმზადებ, ნობათს! შემოვს-
მა საიდგანაც ადამს.

ამ დროს აღმოსავლეთიც აწითლდა. კვლავ
წაურწო დროთა ბრუნვამ სიცოცხლის აკვანს. გაი-
ღვიძა ათასნაირათ ნაჭარგმა ედემმა.

— ადამ, მე შენს ნოათში ჩემი სიმკვირცხლე
ჩავაქსოვე, — მიადახა ადამს პირველმა სხივმა და ვნე-
ბით ჩაუკოცნა ტუჩები.

— მე სინარნარე...

— მე კდემამოსილება...

— მე უმანკოება...

— მე სათნოება...

— მე მიმოხვრა...

— მე ტანადობა...

— მე ანგელოზის ხმა.

— მე ჟუჟუნა თვალები.

— მე ტუჩები...

— მე მოღერილი კისერი.

ადამი გაოცდა. ვისთვის დაეგდო ყური არ
იცოდა. აქ ნარგიზი უამბობს ნობათის ამბავს, იქ
შველის ნუკრი, აქ მტრედის გუნდი, იქ ცქრიალა
ტალღა და კიდევ ვინ, და კიდევ ვინ?... რომელ
ერთს მოუსმინოს ადამმა?..

— ადამ, მე კი შენი ნობათი ჩემს ტალღებში
ამოვაცურე, მშვენიერი ფუნჩულა ტანი გავეუგრი-
ლე... აჰა, შეხედე!..

ადამის წინ უცხო რამ სათხოვარი წარსდგა.
კელაპტრები აღმართული, შეგუფთული მოთინათი-
ნე სთერი... თეთრი ფუნთუშა სხეული, ვით პირ-
ველი თოვლი ზამთრისა...

სათუთი ნარნარი, უმანკო ჩჩვილი... პირმშო ქალ-
წული თვით ქალწული ბუნებისა

ჯვირნის ყელი ბროლივით კამკამა... გულ-
მკერდს კოკობნი აფუებულნი... და ზედ კოკორნი,

ჯერ გაუშლენი, დაუსუნთქენი...

სისხლის ტუჩები—წითელი რკალნი კოხტად ფარავენ ბროლის კბილებსა, გიშრის თვალ წარბი, გაშლილილი შუბლი... ლალის ლოყები, მაგრძონიკაპი... თვალები... და რა თვალები? გულის წარმტაცი ვით ედემი დამწველი მხრაკავი, ვით კოკონის ალი...

კოჭებამდინ თმა შავი, ვით მაყვალი...

სიცოცხლით სავსე, ქონდა სხეული, ახლათ ფუჩქვნილი მთრთოლავი, მჩქეფი .. უმანკო, პირმშო ქალწული თვით ქალწული ბუნებისა.

არა რა იყო მასთან ადამის მშვენიერება, ის დაჩრდილა ძალოვანის სხეულის ღვთაებრივმა სილამაზემ.

ადამი დიდხანს, დიდხანს იდგა ამ სანახაობით გაკვირვებული... ამის მსგავსი მას არა ენახა ჯერ რა, ამაზე მომჯადოვებელი მის თვალებს ედემში არეინ ენახა, ამაზე მომხიბლველი ჯერ ადამის თვალს არ ეხილა...

ის გარინდებული უცქეროდა ამ საკვირველელებას...

ის კი, ღვთიური არსება, იცინოდა, იღიმოდა...

და მერმე რა მშვენიერათ, სულის წარმაცად!..

ვის, ვის შეეძლო ამ ღიმილის დაფასება, მთელი მისი სიტკბოების გრძობა?

— ადამ! აღალო ბაგენი თვისნი მომჯადოებელმა ქმნილებამ—შენმა ხილვამ მე ლამის არის გამაგიჟოს... შენ კი რას გაჩერებულხარ...?

პირველათ, პირველათ ესმა იქაფურობას ასეთი ხმა, სიყვარულით აღსავსე, უსაზღვრო ვნების გამომხატველი თავბრუ დამხვევი, გრძობის ამშლელი...

— ესაა გავფრინდე, აღმიტაცოს რაღაცამ... მთელის სხეულით ვერჯოლავ, ვთრთი, ვცახცახებ... თვალთ მიბნელდება, გრძობა მეკარგვის... რაა ჩემს თავს, რა?.. ვიწვი ადამ, ვიწვი... დახე გული როგორ მითრთოლავს, ძუძუები როგორ ფართქალებენ... გამოგიცდია შენ ასეთი რამ?

— არა.

— ახ, რა უბედური ყოფილხარ! მებრალეები ადამ, მებრალეები... ამ წამს მთელი ჩემი სხეული დულს, ქუხს, ჩქეფს, ვით აზვირთებული ეფფრატი... აფრენა მინდა ამ წუთს, ვით გედს, ჰაერში ფრთების გაშლა... სხეული სადღაც მიმიწევს, მიმაფრენს!.. მართლა, აი რა მშვენიერი და გემრიელი ნამყოფი მოგიტანე? შენ მგონი ჯერ არ გიქაპია მე გველმა მითხრა შექამეო...

— აბა მეც მაქამე, —უთხრა თავბრუდასხმულმა

ადამმა.

— აა... სქამე...

და ადამაც შექამა ნამყოფი...

ათრთოლდა... აკანკალდა... საშინელი ვნების ქარი დატრიალდა მისს არსებაში... თავში სისხლი ავარდნილი ის იყო უგრძობლათ გაიშლართებოდა...

მარა ევას აღელვებულმა გულმკერდმა მიიყრდნო მიიხუტა პირველი კაცი...

და პირველათ, უწინარეს ყოველთა საუკუნეთ-ორ ქეშმრიტ, უმწიკვლო გრძობათა ნაკადული ძალუმათ შეფრთდა, შეიწნა.

ორი უზენაესის გრძობით აზვირთებული სხეული შედულდა, შეწებდა... მოისფლა პირველი ყვავილნ უმანკოებისა, დაისუნთქა პირველი კოკორი ღვთაებრივი გრძობისა

ბუნება შეკრთა თვისი შეილების კრთოლოვილესასთან ერთად... შეკრთა ვით პირველ შეხებისას კოკორი ძუძუ ევასი, ჩვილი ბაგენი პირველის ასულის...

ისინი კი ერთ არსებათ ქმნილნი, ერთ სულ ხორცათ ქცეულნი დიდხანს, დიდხანს ვერ მოსულიყვენ გონს და ვნებათა ღელვის მონანი თეთრ, ფუთნუშა სხეულებით კრთოდენ ჟრჟოლავდენ ზურმუხტის ველზე...

არემარეც ეერთგულა პირველ ქალ-ვაჟთ. სულიერი და უსულიო ამდერდა, აქიკტიკდა და ბედნიერება მიულოცეს მამათავართ...

5.

— ახ, რა სასიამოვნოა ევმრისო შენს ზვირთეში ფეხები ჭყამბალი! სთქვა ადამმა და ნაპირზე ჩამომჯდარმა ფეხების წყალში ჩააწყო.

— შენი სხეულის კოცნა არ ათსწილათ უფრო საამოა, ჩემო ადამ! ბედნიერია ევა, რომელიც ყოველ წუთს შენ გეხვევა... გეკვრობა გამოეპასუხა მდინარე.

— ადამ, ევა სად არის? ჰკითხა ამპარტავნულათ მოკურავე გედმა და მალალი, თეთრი კისერი მოიმარჯვა.

— თაიგულს მიწის, გედო, ყვავილებისგან. რათ გინდა?

— მინდოდა ჩემი ყელი იმისათვის შემედარებია.

— აკი გუშინ ერთმანეთს ეჯიბრებოდით?..

— დღესაც მინდა... გუშინს აქეთ გავლამაზდი

— ხა... ხა... ხა... ის კიდევ შენზე უკეთ გაიფურჩნა...



— ვნახოთ... და გედმა მედიდურათ შეასრიალა თავის გულონაგა თეთრი სხეული ევგრიისის ტალღებში... მას უკან მიყვა აუარებელი ტალღა-ამხანაგი.

ადამი დიდხანს უტყეროდა ფრინველების ამაყათ, შეუპოვრათ ტალღების პობას და მომხიბლველის სანახაობით დამტკბარს არცკი შეუტყვია ევას მოსვლა.

— აი, გენაცვალე, მოგიტანე შენი საყვარელი ყვავილი! დაჯექი მოგფუთნო...

ევამ ვეებერთელა კონა ყვავილისა ადამის წინ დააბნა. სუნელებამ გააბრუა ისედაც მთვრალი მიდამო.

— რა კარგი ხარ ევავ, რომ ჩემი გულის წადილს აგრე ასრულებ... მაშ მე დავეჯდები და შენ მომრთვეი ყვავილებით, შემამკე... ამ სიტყვებით ადამი ჩამოჯდა მალლობზე და გაემზადა ყვავილების მოსაფუთნათ. ევაც მიყვა და შეუდგა სხეულის ყვავილებით ქარგვას..

— ევა, ეცადე გუშინდელზედ უკეთ მომრთო. ყველანი გავაკვირვოთ, მეც მოგრთავ მერმე... შევლს ვეწვიოთ მოკაზმულნი. ჯეირანს, ლომს, ბრემს ვეფხვს, იადონს, არწივს, მერცხალ?... ყველანი ჩამოვიაროთ, ყველანი.

— კი კენაცვალე, კი შე შემოგველე.

— ევა...

— რა იყო?

— კოკობმა ვარდმა დამაბარა ევას— ჩემს მაგივრათ აკოცე ტუჩებშიო.

— მერმე რას შევბი? არ უსრულებ დანაბბრემს? მაკოცე.

მათი ტუჩები შეწებენ.

— ევა

— რა იყო?

— მტრედი შემეხვეწა— ჩემს მაგივრათ ევას ძულებში თავი ჩაუდევო.

— აჰა, გენაცვალე, ჩემი გულმკერდი... ჩაეკვრენ, ვით უსურვაზის წნელს.

— ევა, რა ბედნიერი ვარ მას აქეთ, რაც შენ გიხილე... შენ მომიტანე ევავ, ბედნიერება შენ... მას აქეთ ვგრძნობ თავს, მას აქეთ ვცხოვრობ, თორემ მანამდი რა ვიყავ? თუ ვარსებობდი არც კი მგონია...

— მეც... მეც... ადამ!

— დღეს ყველაფერს ჩემს თვალში აზრი აქვს... მიყვარს ყველაფერი. ვიცი რა ვარ, ვინ ვარ, რა უნდა ვაკეთო... ვიცი რაა ჩემს გარშემო... თვალეები ამეხილა, უბედურობის ჩადრი მომშორდა..

— მეც... მეც... ადამ!..

— ეხლა კარგად ვიცი, თუ რათაა აქ ამდენი მშვენიერება! რათ ყვავის წალკოტი, დუდუნებს ეფვრათი, ჭიკჭიკებს მერცხალი... ვიცი, ყველაფერი ვიცი...

— კიდევ ბეერს ვისწავლით...

— ოლონდაც ჩემო კარგო, ოლონდაც... ვისწავლით, აკი ყველაფერი ჩვენ გვიმორჩილებს, ჩვენია... ჩვენზე ულამაზესი და უნიჭიერესი აქ არაინაა, ყველას ჩვენ ვჯობნი... ყველაფერი ჩვენთვისაა...

„თქვენი ვარ, თქვენ შემოგველე“ — ამბობდა ამ დროს ბუნება. „ყველაფერი თქვენთვის მინდა: სილამაზე, სიმდიდრე, ბედნიერება. ოლონდ თქვენ იმრავლეთ, იცოცხლეთ, იშრომეთ ჩემს წიაღში“.

ბუნება სულ განახული განაგრძობდა ბედნიერთა ცქერას და უხაროდა, უსაზღვროთ უხაროდა, რომ ასეთი ჭკვიანი შვილები შვა, მთელი თავისი სილამაზე მათ დასატკობათ და სანეტაროთ გადაეშალა... თავს ევლებოდა, მტლედ ედებოდა. გულის ფანცქალით ელოდა იმ წუთებს, როცა პირველი მისი შვილები ურთიერთ შორის ბედნიერებით დამტკბარნი, თავის მშობლის გაცნობას და დათვალეობას მოინდომებდნ...

— ევავ, ჩემო ბუტკუნჩელავ, ნოდი ყვავილებით ასე მორთულ-მოკაზმული შენებურათ გულში ჩამეკარ... და ჩამჩურჩულე ყურებში... ჩამჩურჩულე ვნებით გატაცებულმა სასიყვარულო სიტყვებით, მეაღერსე, მეხმატკბილე...

— კი, გენაცვალე, კი შემოგველე!.. მაშ ვის, ჩემო ღვთაებავ, ვის ჩავეგრიხო, თუ არა შენ?... მაშ ვისას, თუ არა შენს ხელ-ფეხს გადავანლართო ჩემი?... ჩემო ღვთაებავ, ჩემო ყველავე.


და ორი არსება კვლავ ერთად იქცა... კვლავ აზვირთდა ენებათა ლეღვის ზღვა, აქაფდა... ბუნება კი, ათასფრათ მოქარგული აღტაცებით იკრავდა გულში ბედნიერ შვილებს: ყვავილთა სურნელებით ატკობდა მათ ყნოსვას, ფრთოსანთა გალობით ანეტარებდა მათ— მზის ოქროს სხივებში განხეულთ და ვით ღვიძლი დედა მდინარეთა დუდუნით ნანას ეუბნებოდა...

— ევავ, ჩემო ღმერთო, გონს მოხვედი?..

— კი, ჩემო მშვენიერებავ, ჩემო ღვთაებავ!..

— ევავ, შემომფიცე, რომ ჩემი იქნები სამუდამოთ!..

— ადამ, ეს რა სიტყვი? მაშ ვისი ვარ, თუ არა შენი? განა შენს მეტს შემიძლია მე ვისმეს ვეკუთნოდე? ვინმეს ვიმონებოდე? მე თაყვანს ვსცემ შენს მშვენიერებას, ქკუას, გონებას... შენ ხარ ჩემი ღმერთი, ჩემი ბედნიერების წყარო... შენ კი ადამ



რას მეტყვი?..

— ევავ! არა თუ მე, არამედ მთელი ქვეყანა შენს სილამაზეს ემონება, შენ გიკმევს გუნდრუქს... განა იმას, ვისაც შენს გულმკერდში თავდავიწყების წამები განუტლია, შეუძლია ვინმე სხვა იწამოს, აღმერთოს? ქმნილებათა გვირგვინო, მხოლოდ შენ ხარ ჩემი ღვთაება!..

— ჩემო ღმერთო! აღმოხდა ევას გულის სიღრმიდან.

— ჩემო ღმერთო! ანგარიშ მიუცემლათ მიაძახა ადამამაც და ხელი ხელთ ჩაკონებულთ თვით ბუნება ემოწმა გულწრფელ დაძახილზე... კიდითგანკიდემ, ქვესკნელმა-ზესკნელმა ერთხმათ იგრიალა: „მათ ჰპოვეს ღმერთი“...

— ადამ წამო, მოველოთ მთა და ბარი, დავიმორჩილოთ, ველმერთოდ მთელ ქვეყანას...

— წავიდე... წავიდეთ... დამკვიდრდეთ ჩვენს სამფლობელოში!..

და ორთავე ბედნიერნი, ხელიხელ ჩაკიდულნი აღტაცებით განშორდენ სამოთხის კარმიდამოს...

მან კი—ზეციერმა, ღმერთმა უხილავმა, ზურგ შენაქცევმა.

„დაადგინა ქერობინი, მოტყინარე მახვილი აქცევისი, დაცვად გზასა ხისა ცხოვრებისასა“

ვ. მალაქიაშვილი.

მ ე გ ო ბ ა რ ს.

(უძღვნი ბ. გელას)

იმ დროს, როცა მერცხლებივით სადმე ხის ძირს ჩამომსხდარნი ურთერთს აზრებს ჩვენ ვანდობდით, გოპნობით, ტკბილათ მოუბარნი...

მეგობარო, გახსოვს ის დრო! მაშ, შენც მუხლი მოიხარე: მოიგონე ის წარსული, შევების ცრემლი გადმოღვარე!...

ჩემშიც ამ ტკბილ მოგონებამ გული გრძნობით ააძგერა, ჩანგს ხალისი შემოაჰმატა, საიმედოთ ააქდერა...

„ვაშა; ვაშა, გახაფხულო, კაბა ქრელო გულმგზნებარო!!! და შენც „ვაშა“ ჩემთან ერთად შემოსძახე მეგობარო!

ვიცი... ვიცი, მესმის ეგ ხმა, ხმა მეგობრის, გულის წორის,

შენათვისის, შენატკობის, განუყრელის... დანაშორის...

გახსოვს, ერთხელთ მერცხალთ კრებას რომ დაშორდა მეგობარი?

მარტოთ იწვა უბირ ქაბში ავათმყთფი, გულ-დამწვარი...

და აი, მას რომ ეწვია, მაშინ შორით სწორთა გუნდი,

მოიკითხა, მარტოობის გულს შემოხსნა მძიმე ზუნდი,—

გახსოვს!—გახსოვს! როგორ არა!.. მაშ, შენც მუხლი მოიხარე,

მოიგონე ის წარსული და ცრემლები გადმოღვარე!..

თუმც შორ-შორს ვართ, მაგრამ მაინც გული-გულთან შენაზარდი—

ერთგვართ სცემს... ერთიგვა მათი ღხინი, მათი დარდი..

ნ. ზომლეთელი.

ოჯახის პატიოსნება.

(ეტიუდი).

ნიკო ჩვარაძე, ასე 40-45 წლის კაცი, ნავაჭრით დატვირთული მიუახლოვდა თავის ბინის კარებს. სწორედ იმ დროს, როდესაც იქიდან სახე გაბრწყინებული გოჯასპირ მამალაძე გამოდიოდა.

— გოჯასპირს გაუმარჯოს! უთხრა ნიკომ და თითქოს შერცხვავა თვალი მოარიადა.

— ოჰ, ნიკოს ვახლავარ, უპასუხა გოჯასპირმა და გამომცდელის თვალით შეხედა. მაგრამ ნიკო ყურს არ უგდებდა: იმან კიდევ შეალო კარები და შევიდა ოთახში. ის აბნეულის თვალებით აქეთ-აქით იცქირებოდა და თვითონაც არ იცოდა რას ეძებდა. ქალაქში გახვეული ნავაჭრი ზოგი პალტოს ღილებზე ეკიდა და ზოგიც ხელებში ეჭირა. ის ინსტიქტიურათ მეორე ოთახში გავიდა და მხოლოდ მაშინ გამოერკვა, როცა სავარძელზე მიშვებული თვისი ღამაზი ცოლი, თამარი, დაინახა. თამარს ეტყობოდა, რომ აღვლევდა გამოეცადა და ეხლა ცოტათი ფერ მიმ. კრთალი სავარძელში მისვენებულიყო. ბროლივით ჩამოსხმული, ნაპატივები ხელები თავზე შემოედგა... ნიკო მიუახლოვდა და აღერსით უთხრა.

— რა დავმართია, შენი ჭირამე! აჰა, შენ საკაბე მოგიტანე, ეს სადღესასწაულო საჩუქრებია.



იყავ მხიარულათ. გენაცვალე!—ნიკოს უნდოდა მოხვეოდა, მაგრამ თამარმა შეაჩერა და ისეთი თვალით გადმოხედა, რომ ნიკოს თავის ღღეში არ ენახა თავის ცოლის თვალების ასეთი გამომეტყველება.

— სახლში რომ შემოდრიდი, კარებში არავინ შეგხვდა? შეეკითხა თამამად თამარი.

— შემხვდა, როგორ არა შემხვდა. გოჯასპირი შემხვდა. ცოტა არ იყოს არევით უპასუხა ნიკომ.—

— მაგრამ რა არის აქ გასაჯავრებელი? ის ხომ შენი მეგობარია და ძალიანაც გასიამოვნებს მისი მოსვლა? უკმაყოფილო კილოთი დაამატა ნიკომ.

— შენ ვერ მიხვდი, ან არ გინდა, რომ მიხვდე! ის ჩემი მეგობარიც არის, საყვარელიც და ყველაფერიც! გადაწყვეტილი კილოთი უთხრა თამარმა და ზეზე წამოდგა.

ნიკოს მეხი დაეცა. ის ამჩნევდა, რომ თამარი გულ-გრილათ არ იყო გოჯასპირთან, ამჩნევდა და გული ემღრეოდა, მაგრამ თავის თავსაც ვერ უმხელდა იმ აზრს, რომ ასე დატრიალდებოდა საქმე. მის ხელში ნაზათ გაზდილი თამარი, რომელსაც ახირებულათ მზის სხივსაც არ მიაკარებდა, მორცხვი და უსიტყვო თამარი აქ გაბედულათ ეტყოდა მას ამ საზარელ სიტყვებს? მერე ხომ ქვეყანამ გაიგო ეს ამბავი! ელვასავით გაურბინა თავში ნიკოს. ამხანაგები, ნაცნობები, სახელი, ოჯახის ღირსება... სუყველაფერში შერცხვენილი უნდა შეიქნეს.

ასეთი სურათები უტეხ წამოუდგენ მას თვალ წინ, ენა დაუბეს და გააშტერეს.

— რაც უნდა მომხდარიყო, ოღონდ არ გამოაშკარავებულებიყო და მე გადასაწყვეტათ არ შემეჩნოდა ის კითხვაო, იფიქრა თავის გულში ნიკომ. თამარი კი ისევ მრისხანეთ იღვა და მისჩერებოდა მას, თითქოს დავლურში გამოწვევას უპირებოდა.

— თამარ, მე ვერ გცნობ ღღეს, ჭკუაზე მოდი, რას ამბობ თუ იცი? სევდიანის კილოთი წაილულლულა ნიკომ.

— რას ვამბობ? განა ვერ გაიგონე, რას ვამბობ? გიმეორებ, რომ გოჯასპირი ჩემი საყვარელი და მეგობარია და იქნება კიდევ! უპასუხა ისევ ისე შეუბრალებელ კილოთი თამარმა.

— ქალო ჭკუაზე მოდი, თორემ გავგყდი ეს არის! შეპყვირა ნიკომ.

— რომელ ჭკუაზე მოსვლას მეუბნები, ძველებურ ჭკუაზე მე აღარ მოვალ. ვიცი ის სანა-

ქებო ჭკუა შენთვის ხელ საყრელია. მაგონე ჩემთვის მომაკვდინებელია, ჩემი პიროვნების გამაქარწყლებელია ადამიანობის უარ მყოფელია; მეც უარ ვყავი ის ძველი ჭკუა და დავადექ ახალ ჭკვას. ეს ახალი ჭკვა კი იმაში მდგომარეობს, რომ თავი დავახწიო შენს სიღამბლეს. ამ არაბობას, მე არ მსურს მარტო უინის მოსაკვლავი საგანი ვიყო!!! მინდა მეც მქონდეს სული და გული და მეც შემეძლოს შეყვარება!... აი ეს არის ჩემი ახალი ჭკვა და იმას ვერც ვერაფერი გადამხვევინებს!

ეს სიტყვები ისე გაბედულათ და ისე გადამწვეტი კილოთ იყო ნათქვამი, რომ ნიკომ ვეღარაფრის თქმა ვეღარ მოახერხა.

სული ყელში მოეხვნა, თვალები ცრემლებით ავესო და ძლივს გასაგონი ხმით წამოილულლულა:

— თამარ, ჩემო საყვარელო თამარ, მოიგონე ჩემი შენდამი სიყვარული, მოიგონე, როგორ გიფრთხილდებოდი, ცივ ნიავსაც არ მოგაკარებდი; ერთი მკვახე სიტყვა არ მითქვამს შენთვის, ყოველივე შენს სურვილს გისრულებდი! ყველა ეს ღალატით გადამიხადე? დაგავიწყდა ოჯახის პატიოსნება, დაივიწყე თავისი მდგომარეობა, შენი ქმრის მეგობრები, ნათესავები, ამხანაგები და გამცვალე ვილაც...

— ადამიანზე! დაატანა თამარმა: მე შენთვის სრულებით არ მილაღატანია! ღალატი იქნებოდა მაშინ, რომ მომეტყუილებინე და არაფერი მეთქვა შენთვის! რაც შეეხება შენგან ჩემზე დიდი ყურადღების მოქცევას, აი სწორეთ ეს შენი აღზრდის მეთოდია იმაში ღმნაშაული, რომ მე შენზე გული გამიცივდა. შენ მე თვრამეტი წლის შემირთე ოცდა თვრამეტის წლის კაცმა. იმის მაგივრათ, რომ აგეზარდე, ადამიანობა ჩაგეთესა ჩემს არსებაში. ცხოვრება გაგეცნა ჩემთვის, იმის მაგივრათ ჩემსა და ცხოვრებას შორის შენ ჩინეთის კედლი აღმართე. მე შრომა მინდოდა—შენ მიშლიდი მას, ვერ შესძლებ დაავთმყოფდებო, მე მასწავლებლობა მინდოდა,—შენ დამიმალე, კითხვა მინდოდა,—შენ არ მანებებდი, თვალი გეტკინებო და თუ გინდა მკითხველ ქალს დაგიქირავებო; მე ბოსტნის მოშენება ვიფიქრე—შენ არ დამანებე—ხელები წავიხდებო; მომწყინდა ცხოვრება, ვიფიქრე რამეში როგორ არ უნდა გამოვდგე მეთქი, ვიფიქრე სამზარეულოში მაინც შევეჩვიევი საქმლის კეთებას მეთქი—შენ არც ეს დამანებე—კიდევ იმ მოსაზრებით, რომ „მშენიერი ხელები“ წავიხდებო. ერთის სიტყვით მე მინდოდა შენი ამხანაგი ვყოფილიყავ ცხოვრების გზაზე—შენ კი გსურდა შენი უინის მოსაკვლავი საგანი



შევქნილიყავი და მიახწიე, კიდე. ჩვენი ქორწინების დღიდან ამ დრომდე მე საღათს ძილით მეძინა თურმე, ესლა კი გამომეღვიძა და გზაც მოვინახე წასასვლელი. მე რასაკვირველია შენთან ვეღარ ვიცხოვრებ და გადავწყვიტე დღესვე გავიდე შენი სახლიდან. მე და გოჯასპირი ბევრ გაქვივრებას შევხდებით მაგრამ...

— თამარ, თამარ! შებღავლა ნიკომ — ეს რა მესმის: შენ უნდა წახვიდე, ჩემი სახლიდან? არასოდეს! ეს შეუძლებელია! სად უნდა წახვიდე, ვისთან, განა გოჯასპირს რამე შეძლება აქვს? ერთა კვირის შემდეგ ქუჩაში უნდა გამოხვიდეთ სამათხოვროთ. ეს შეუძლებელია! ღმერთო, რა მემართება! ნიკო დაცა მუხლებზე და ცრემლებით დაუწყა ვედრება:

— თამარ ოლონდ, ნუ წახვალ! ოლონდ ქვეყანას ნუ ალაპარაკებ ჩემზე, ოლონდ ივაც ჩემ სახლში, გიყურო შენ, ვიაშაყო მით, რომ შენ ჩემი ცოლი ხარ, და თუ გინდა გყავდეს გოჯასპირი საყვარლათ. როგორც შენ ამბობ. გინდა აქ გადმოვიყვანოთ ჩვენთან საცხოვრებლათ! თამარ, შენ გენაცვალოს, ნიკო დამიგდე ყური. მე ვყოფილვარ შენი დაღუპვის მიზეზი, მევე გამასწორებე ჩემი დანაშაულობა. იყავი ჩემთან და გიყვარდეს, ვინც გინდა!

თამარი კვლავ დაჯდა სავარძელში და ფიქრს მიეცა.

ნიკო დაჩოქილი მიუახლოვდა და კაბის კალთაზე ეამბორა.

— Тряпка! ზიზლით წარმოსთქვა თამარმა და საშიშრომა, ზიზლით და შურის ძიებით სავსე გრძნობამ გაუთამაშა სახეზე.

— გეფიცები ყველაფერს, თამარ, მე თავს მოვიკლავ თუ, შენ ჩემი სახლიდან წადი!

თამარი სდუმდა.

— ხომ არ წახვალ, გენეცვალე, ხომ დარჩები? მე ისევ ძველებურათ გემსახურები, შენ კი რაც გინდა ის გააკეთე, როგორც გინდა ისე მოიქეც.

თამარ ხმას არ იღებდა. ნიკომ მიიწია მოსახყვათ, მაგრამ თამარმა კიდევე შეაჩერა და გაბედულათ უთხრა:

— გახსოვდეს, რომ შენ დღეიდან ჩემი ქმარი აღარა ხარ!

— შენი ნებაა; წაიდუღუნა ნიკომ და ოჯახის თადრიგს შეუდგა.

მესამე დღეს საღამო ხანს ზარების ხმაზე ნიკომ კარები გააღო... და გოჯასპირს შეგება მხიარული;

— მობრძანდით! გამარჯობათ მიბრძანდით, თა-

მარი გაართეთ უთხრა მან თითონ შეუღლიდა პალტო აიღო და გარეთ გამოვიდა...

ფ. რუშაველი.

* * *

ბადრი მთვარე,
პირ-მცინარე
მისცურავს—
 ცის სივრცეში,
 შავ ღრუბლებში
მისცურავს;

—
ხან იკარგვის,
ცა სევდას ჰგვრის
შწარესა
 ბნელით მოსილ,
 ტანჯულ, დევნილ
მხარესა.

—
ხან სინათლე,
ისევ მალე
ბნელია—
 ხან სიცილი,
 ხან ტირილი
მწველია.

—
ოჰ, ღრუბლებო,
დარაჯებო
ზეცისა,
 სევდიან გულს
 დაობლებულ
კაცისა

—
სხივი უნდა,
სხივი უნდა
ცხოველი!..
 რათ დაფარე
 ბადრი მთვარე
ნათელი?..

—
აჰა მთვარე,
პირმცინარე,
ანკარა!—
 და ღრუბლებმა
 საძაგლებმა
დაფარა!..

გული კვნესის...
 მაგრამ მესმის
 საამო
 ხმა ნიავის.
 — წყნარი არის
 სალამო.
 —
 არ დავზოგავ,
 სულ გავფანტავ
 შავ ღრუბლებს;
 მოფენს არეს,
 ბადრი მთვარე
 უხვ სხივებს.

ბ. გელა.

სახრჩობელასკენ.

(შემდეგი. იხ. სხივი № 5)

გულზე მოეშვა, სიამოვნება იგრძნო, თითქოს ვილაკამ უთხრა მას, უკვდავი ხარ და მუდამ იცოცხლებო. ხელახლა იგრძნო ძარღვებში ძალა, ხელახლა იგრძნო, რომ მას, ქვეიან კაცს გარს ახვევია ამ სულელების ჯოგი, რომელნიც ასე მხიარულათ, ასე ურცხვათ. ეჭრებიან მომავლის საიდუმლოებას, იგრძნო ეს და ჩაფიქრდა. მძიმე იყო ფიქრები ამ, მოხუცებული, ავადმყოფი, ბევრის მნახველი კაცისა. არ ცოდნის ნეტარებაზე ფიქრობდა იგი. არც ერთ ცოცხალ არსებას, — არც ადამიანს, არც მხეცს არ უწერია თავისი სიკვდილის დღე და საათი იცოდეს.

„აი ამას წინათ ავით ვიყავი, ექიმებმა იმედი დააკარგეს, ვერ მორჩებიო, საჭიროა ანდერძის დაწერაო, — მე კი არ დაუჯერე და მართლაც ცოცხალი გადავრჩი.

ახალგაზღობაშიაც ქონდა ერთი შემთხვევა: ცხოვრების ხლართებში გაება და გადასწვიტა თავი მოეკლა; რევოლვერიც მოიმიზადა, წერილებიც დასწერა, თავის მოკვლის დროც კი დანიშნა, მაგრამ სწორეთ თავის მოკვლის წინ გადაფიქრა. ყოველთვის მოხდება ხოლმე, სწორეთ უკანსკნელ წუთს შეიძლება რამე შეიცვალოს, შეიძლება სრულიად მოულოდნელმა შემთხვევამ წამოჰყოს თავი, ამიტომაც, რომ არავის არ შეუძლია სთქვას, როდის მოკვდება.

„დღის პირველ საათზე, თქვენო აღმატებულეზავ! — გაათრთხილეს იგი ამ თავაზიანმა ვირებმა და

თუმცა მხოლოდ იმიტომ უთხრეს ეს, რომ სიკვდილი აშორდა, მაგრამ საკმაო იყო მისთვის ესთქვა დრო მკვლევლობის ჩადენისა, საკმაო იყო გაეთვალისწინებინა ამ მკვლევლობის შესაძლებლობა, რომ მთელი მისი არსება საშინელებას შეეპყრო. ყოველად შესაძლებელია, რომ როდესმე მოჰკლან კიდევ იგი. მაგრამ ხვალ არ მოხდება ეს — ხვალ ეს არ მოხდება — და შეუძლია დღეს მან დამშვიდობით დაიძინოს, როგორც უკვდავმა.

სულელები, არ იცოდენ რა დიდებული კანონი დაძრეს ადგილიდან, რა ხერხი აღმოაჩინეს, როცა თავიანთი უტვინო თავაზიანობით სთქვეს: „დღის პირველ საათზე, თქვენო აღმატებულეზავ!“

— არა, დღის პირველ საათზე კი არა, თქვენო აღმატებულეზავ, არამედ არავინ იცის როდის, არავინ იცის, როდის, რაა?

— არაფერი — უბასუხა სიჩუმემ. — არაფერი.

— არა, შენ რაღაცას ლაპარაკობ.

— არაფერი, არაფერი. ხვალ, დღის პირველ საათზე-მეთქი უცაბედათ რაღაც ისარივით მოხვდა გულში; მიხვდა, რომ ვერ დაიძინებს, ვერც მოისვენებს, ვერც გაიხარებს, სანამ არ გაივლის ეს წყეული, შავბნელი, ციფერბლატიდან ამოგლეჯილი საათი. მხოლოდ მარტო მოჩვენებით ცოდნა იმისი, რაც არც ერთმა ცოცხალმა არსებამ არ უნდა იცოდეს, მხოლოდ მისი აჩრდილის დანახვა კუთხეში, საკმაო იყო, რომ ნათელს შავი ზეწარი გადაფარებოდა და ადამიანის სული საშინელების განუქვრეტელ წყვილადს შეებოჭა. ერთხელ ატეხილი შიში სიკვდილისა მთელ სხეულს ედებოდა, ძვალ-რბილში ჯდებოდა, მთელ აგებულებაში მოეკალათებინა.

ხვალინდელი მკვლევების როდისღა ეშინოდა, იგინი უკვე გაქრენ მის თვალში უკვე დაივიწყა. ისინი უკვე მის გარშემო არსებული მოვლენების ფერხულმა ჩაითრია, მას აძრწოლებდა, მას აკანკალებდა რაღაც უცაბედი, რაღაც აუცილებელი. შეიძლებოდა დამბლა დასცემოდა, გული გახეთქოდა, შეიძლებოდა ველარ გაეძლო სისხლის მიწოდისთვის იმ რაღაც ქვეიან აორტას და გაფხრეწილიყო ფუნჩულა, ჩაკურატებულ თითებზე ჩამოკმულ ხელ-თათმანივით.

საზარლათ ეჩვენა თავისი მოკლე, ჩასუქებული კისერი, შეუძლებელი იყო დასიებული, მოკლე თითების ცქერა, გამაგიჟებელი იყო ეს მოკლე სასიკვდილა ოფლით გაგლესილი თითები. თუ წინათ, როცა ბნელში იწვა, ტოკავდა და ინძრეოდა, მკვდარს რომ არ დამსგავმებოდა, სამაგიეროთ ახლა, ამ თვა-



ლის მქრელ, ცივი ლოდვით გამომცქერალ, სა-
შინელ სინათლეში განძრევაც კი საშინელებათ
შეუძლებლათ მიაჩნდა, პაპიროზის ამოსაღებათ ვერ
დაეძრა ხელი ზარისკენ ვერ გაეწია, რომ ვინმეს-
თვის დაერეკა. ძარღვები დაქიმულიყვენ თვითეული
მისი ნერვი ყალყზე დამდგარ მოუღრეკელი მავთულს
მოგაგონებდათ, რომლის წვეროზე მოგეჩვენებოდათ
პატარა თავი, გიჟურათ გადმოკარკლულ თვალებით,
ბნელიანივით დასიებული, სულ-შეგუბებულის, სამა-
რესავით მღუმარე პირით სუნთქვა უჭირს.

საღლაც ქვაზე, ბნელაში მტვერსა და აბლაბუდა—
ში უცბათ გაცოცხლდა ელექტრონის ზარი.
პატარა ენა აკანკალდა გახელებულმა დაუწყო
რაკრაკი წკრიალა ფინჯანს, უცბათ მიჩუმდა,
მაგრამ ხელახლა არაკრაკდა განუწყვეტელის ძრწო-
ლითა ეს მისი აღმატებულება რეკდა თავისი
ოთახიდან.

წამოიშალნენ მოსამახურებები, აქა იქ კედლებ-
ზე ელექტრონმა ინათლა. სინათლე ცოტა იყო, მაგ-
რამაზრდილების გასაჩენათ კმაროდა. ოთახი მთლად
აზრდილებით გაივსო-კუთხეებში გამოიქიმენ, ქერზე
გაწვნიენ, კედლებს მოეფინენ; ძნელი გასაგები იყო,
სად იყვენ წინათ ყველა ეს ურიცხვი, მახინჯი სამა-
რესავით ჩუმი აზრდილები, ეს უხმო სულები უტყვი
საგნების.

ბოხი, კანკალა ხმა რ ლაცას გრიალით გაიძა-
ხოდა.

შემდეგ ტელეფონით ექიმს დაუძახეს; მის
აღმატებულებას გული წასვლოდა, დაუძახეს მის
ცოლსაც.

2 ჩამოხსრჩობილ იმანს!


სწორეთ ისე მოხდა, როგორც პოლიციას
ქონდა დათქმული: ოთხი ტერორისტი—სამი კაცი
და ერთი ქალი—ყუმბარებით ჯოჯოხეთის მაქანე-
ბითა და რევოლვერებით შეიარაღებულნი, ზედ
კარებზე შეიპყრეს, მესუთე ქალს კონსპირატიულ
ბინაზე მიასწრეს და იქ დაატუსაღეს, იქვე უპოვნეს
აუარებელი „დინამიტი“ ნახევრათ გატენილი ყუმ-
ბარები და იარაღი. დაჭერილები ყველა
ახალგაზდები იყვენ უფროსი მამაკაცი 28 წლის
იქნებოდა, უმცროსი 19-სა მხოლოდ. ქალი გაასა-
მართლეს იმავე ციხეში, საცა ჩამწყვდიეს დაჭე-
რის შემდეგ, გაასამართლეს სწრაფად, ყრუთ, რო-
გორც შვრებოდენ ხოლმე იმ შავბნელ უღმობელ
დროში.

საქმის ვაჩევაზე ხლ-ივეს თავი მშვიდათ

ეკირათ, მაგრამ ძლიერ ჩაფიქრებული იყვენ და
სახის გამომეტყველება მეტათ სერიოზული ქონდათ:
ისე დიადი იყო მათი სიძულვილი მოსამართლეები-
სადმი, რომ არავის არ უნდოდა გალიმებულოყო,
ან მხიარულათ მოეჩვენებინა მათთვის თავი და ამი-
თი ხაზი გაესვათ თავისი სითამამისათვის. სწორეთ
იმდენათ იყვენ დამშვიდებულნი, რამდენიც საქ-
როა, რომ შენს სულოსა და მასში გამჯდარი სიკ-
ვდილის წინასწარ ბნელეთს არ შეხებოდა სხვისი
ბოროტი და მდაბალი თვალი, ზოგჯერ უარს ამბო-
ბდენ პასუხის გაცემაზე ზოგჯერ უპასუხებდენ სხარტ-
ულათ, მარტივათ, სისწორით თითქოს მოსამართლეების
კიარა, სტატისტიკალებს აძლევენ პასუხს რაღაც გან-
საკუთრებული ტაბულების შესავსებათო. სამმა, ერთმა
ქალმა და ორმა კაცმა—დასახელებს თავიანთი ვინა-
ობა, ორმა უარი სთქვა და დღესაც არ იციან მო-
სამართლეებმა მათი სახელი და გვარი. ყველაფერს,
რაც საქმის ვაჩევაზე ხდებოდა, ისე უტყეროდენ,
რომ იფიქრებდით ან მძიმე ავთამყოფები არიან, ან მთე-
ლი მათი სული და და გული, მთელი მათი არსება რა-
ღაც დიდებულს, მძღეთამძღე აზრს შეუპყრიოა;
უცბათ დაიჭერდა ჰაერში გამოსროლილ რომელიმე
საინტერესო სიტყვას, ყურებს აცქვეტდენ, შეხე-
დავდენ მოსამართლეს და ხელახლა უბრუნდებოდენ
გაწყვეტილ აზრს, განაგრძობდენ შეწყვეტილ ფიქრს.

მსაჯულებს აქეთ სერგეი გოლოვინს რომ უწო-
დებდა თავის თავს ეს იჯდა. მამა მისი ნაპოლკოვნი-
კარი კაცი იყო, თვითონ ის აფიცრათ ნამყოფი.
კიდევ სულ ახალგაზდა იყო, თეთრ-ყირმიზი, მხარ
ბეჭიანი კაბუკი, ისეთი მოსული. რომ მის წითელ
ლოყებზე ვერ ემოქმედნა ვერც აუცილებელ სიკ-
ვდილის მოლოდინს, მის ცისფერ თვალებში იმავე:
ახალგაზდა ბედნიერ გულუბრყვილობას წაიკითხავდმთ
ერთავად თავის ახალმოშვებულ ფუცხატა ნა-
თელს წვერს იწიწკნიდა და თვალების ხამ-
ხამით განუწყვეტლივ ფანჯარაში იცქირებოდა.

ზამთრის მიწურულში ხდებოდა ეს ამბავი.
ჯერ კიდევ თოვლ-ქარიშხალიანი და ყინვებიანი
დღეები იყო, მაგრამ მოახლოვებული გაზაფხული
უკვე გზავნიდა, როგორც წინამორბედს თავისას,
ნათელსა და თბილ მზიან დღეს, ან და მხოლოთ ერთ-
საათს, მაგრამ ეს ერთი საათი ისეთი სიცოცხლით
აღსავსე, ისეთი ცქრიალა იყო, რომ ბელურები სი-
ხარულისაგან გიჟდებოდენ და ადამიანები თითქოს
ითვრებოდენ. ზემოთა ფანჯარაში, რომელიც წარ-
სულ ზაფხულიდან არავის გაეწმინდა, ძლიერ ლა-
მაზი და უცნაური ცა მოსჩანდა: პირველ შეხედვა
ზე იგი ნაცრის ფრათ, ოღნავ თეთრად მოგეჩვენე-



ბოდათ, თუ უფრო დიდხანს ჩაუკვირდებოდით. რომ სულ უფრო და უფრო ლურჯდება სულ-უფრო და უფრო მტრედის ფერდება, სულ უფრო და უფრო იწმინდება უსახლვრო ხდება და აეთი ჩუმი, იღუმალი უმანკოებით მოსილი პირისბანა, ცისა, ისეთ ტურფათ და კეკლუცად ხდიდა მას, როგორც საყვარელ ქალიშვილს. სერგეი გოლოვინიც წვერის წიწკნით იცქირებოდა ფანჯარაში. ხან ერთ თვალს მიჭუტავდა და ხან მეორეს. გრძელ წამწამებს ათამაშებდა და რალაცაზე ღრმათ ფიქრობდა. ერთხელ თითებიც კი აათამაშა და უცბათ, გარშემო მიმოიხედა და გაჰქრა, თითქოს ნაპერწკალს ფეხი დაადგესო. და თითმის იმ წამსავე მის წითელ ლოყებს ჩამიწებული, სამარისებური სილურჯე გადაეფარა: ტკივილით ამოგლეჯილი ბუსუსიანი ბალანი ჩაფითრებულ თითებში ჩაკუმშა, თითქო ბრჭალებს უქერსო. მაგრამ ძლიერი იყო სიხარული სიცოცხლისა და გაზაფხულისა — და არ გასულა რამდენიმე წამი, რომ წინანდელი ახალგაზდა ბავშური სახე გაზაფხულის ცას შეჰნატროდა, მისკენ მიიწევდა.

ცასვე გასცქეროდა ახალგაზდა, ფერმკრთალი უცნობი ქალიშვილი, რომელსაც ამხანაგები მუსიას ეძახდნენ; ხნით გოლოვინზე პატარა იყო. მაგრამ მისი პირდაპირი, ამპარტავანი და შავი თვალების მკაცრი და სერიოზული გამომეტყველება მეტი ხნისათ აჩვენებდა მას; მხოლოდ მისი ძლიერ წვრილი ნაზი კისერი, და ასეთივე წვრილი ქალის ხელები გეუბნებოდათ, რომ ის ჯერძლიერ ახალგაზდა იყო, და კიდევ ის მიუწოდებელი რამ, რასაც თვითონ ახალგაზდობა ქვიან და რაც ისე გარკვეულათ ისმოდა მის ხმაში, წმინდა, ჰარმონიით სავსე, ძვირფასი საკრავივით საგანგებოთ მომართულ ხმაში ისმოდა თვითეულ უბრალო სიტყვაში, თვითეულ შეძახებაში, რომელიც თვალწინ გიშლიდათ მისს მუსიკალურ შინარსს. სახე ძლიერ მკრთალი ჰქონდა, მაგრამ ეს არ იყო სიმკრთალე მომაკვდავისა, ეს იყო ის განსაკუთრებული, მხურვალე სითეთრე, როს ადამიანის სულში თითქოს დიდი, ძლიერი ცეცხლი გაუჩაღებიათ და სხეულიც გამკვირვალეთ ანათებს. როგორც თხელი სევრის ფაიფურიო. თითქმის უძრავათ იჯდა და მხოლოდ ზოგჯერ თითებს შეუმჩნევლად აცეცებდა, მარჯვენა ხელის შუა თითზე ჩაღრმავებულ ზოლს რომელიც, ეტყობოდა, ახლათ მოძრობილი რალაც ბეჭედს დაეტოვებინა: ცას უაღერსოთ უცქეროდა არავითარ სასიხარულოს მოგონებას არ იწვევდა იგი მასში, მხოლოდ იმიტომ რომ, მთელ ამ ბინძურ დარბაზში

ცის ეს მტრედისფერი ნაკუწი, ყველაზე ულამაზესი, ყველაზე წმინდა და უმანკო იყო — და ვერაფერს ვერ სტყუებდა მისს თვალებს.

სერგეი გოლოვინი მოსამართლეებს ებრალებოდათ, მუსია კი სძაგდათ.

გაუნძრევლათვე, ოდნავ მედიდურათ მუსიასთან ახლოს იჯდა უცნობი, თავს რომ ვერნერს უწოდებდა. თუ შეიძლება კაცმა სახე დაიკეტოს ისე ყრუთ, როგორც კარები, უცნობსაც დაეკეტნა თავისი სახე, როგორც რკინის კარი და ზედ რკინის კლიტე დაედო. უძრავათ იცქირებოდა ძირს ფიცრის, მტვერიან იატაკზე და ძნელი გასაგები იყო: დამშვიდებულია თუ დაუსრულებელ მღელვარებს განიცდის, ფიქრობს რასმეზე, თუ ყურს უგდებს ჯაშუშების ჩვენებასო. მაღალი ტანის არ იყო, სახე წმინდა და კეთილშობილი ქონდა, იქამდე ლამაზი იყო, რომ უნებურათ მოგაგონებდით მთვარიან ღამეს სადმე სამხრეთით, ზღვის პირზე, ალვის ხეებსა და მათი ჩრდილების სამეფოს; და იმავე დროს დიადი, მშვიდი ძალისა, უძლეველი სინტეციცისა ცივის და კაღნაერის სიმამაცის გრძობას გისახავდათ გულში. თვით ის ზრდილობიანი კილოც კი, რომლითაც ის მოკლესა და სწორს პასუხს იძლეოდა კითხვებზე, საშიშარი ჩნდა მის მოჭრილ სიტყვებში, მის ნახევრათ თავს დაკვრაში, და თუ ყველა დანარჩენ ტუსადის ხალათები რალაც უაზრო მასხრობის გამომხატველი იყო, მის ტანზე ეს ხალათი სრულებით არ ემჩნეოდა — ისე უცხო და შეუხამებელი იყო იგი ამ ადამიანისთვის. და თუმცა ყუმბარები და ჯოჯოხეთის მანქანები დანარჩენებს უპოვნეს, ვერნერს კი მარტო შავი რევოლვერი, მაგრამ მოსამართლეები რატომღაც მას სთვლიდნენ მეთაურათ და რამოდენიმეთ პატივით ეპყრობოდნენ მას და მასავით მოკლეთ და საქმიანათ ექცეოდნენ.

ვერნერს გვერდში უჯდა ვასილ კაშირინი, რომელიც მთლათ შეეპყრო სიკვდილის აუტანელს საშინელებას და მთელი თავისი არსებით ცდილობდა არ დაენახებინა ეს საშინელება მოსამართლეებისათვის. დილა ადრიანვე, როცა სასამართლოში მიჰყავდათ, მას საშინელი გულის ძგერა აუარდა და სული ეხუთოდა; შუბლზე ოფლს აყრიდა, ხელებიც უოფლიანდებოდა და უცივდებოდა, ტანზე ეწებებოდა და მოძრაობას უშლიდა ცივი, გაოფლებული პერანგი. ნების ზესთაბუნებრივ ძალას ხმარობდა, რომ ხელები არ აკანკალებოდა, ხმა მკაფიო და მტკიცე ქონდა, თვალები მშვიდი, არავის არ ხედავდა გარეშემო, სხვისი ხმა



ბუნდოვანათ ესმოდა, თითქოს სქელი ნისლი ახვევია გარშემო; ამ ნისლშივე იფანტებოდა მისი უიმედო ცდა ეპასუხა მოსამართლეთათვის მტკიცეთ და ხმა მალდა. მაგრამ პასუხის გების შემდეგ ხელათ ავიწყდებოდა, როგორც კითხვა, ისე თავისი პასუხი და ხელახლა იწყებდა ჩუმსა და საშინელ ბრძოლას. სიკდილი გამეფებულიყო მის სახეზე, სიკდილი გამოსქვივოდა მთელი მისს სხეულში და ეს ისე აშკარა იყო, რომ მოსამართლეები გაუბრუნდნენ მისთვის პირდაპირ ცქერას. ძნელი გამოსაცნობი იყო მისი წლოვანება, როგორც მკვდარი კაცის გვამის, რომელიც უკვე იხრწნება. პასპორტში კი ოცდასამი წლის ირიცხებოდა, ერთხელ თუ ორხელ ვერნერმა შეახო მის მუხლზე თავისი ხელი, ის კი პასუხათ მხოლოთ ერთ სიტყვას ამბობდა:

— არაფერია.

ყველაზე აუტანელი იყო მისთვის, როცა უცაბედათ მოუთმენელი სურვილი დაებადებოდა ეყვირნა—უსიტყვოთ, გყვირნა საშიშარი, მხეცურის ყვირილით. მაშინ ის ჩუმათ შეეხებოდა ვერნერს, ვერნერი კი თავ აუღებლივ, ჩუმათვე უპასუხებდა:

— არა უშავს, ვასია; ჩქარა გათავდება.

ყველას კი თავს დასტრიალებდა, შშობელ დედასავით ეხვევოდა, თვალის ჩინივით უვლიდა, სწუხდა და ტოკავდა, მეხუთე ტერორისტი—ქალი, ტანია კოვალჩუკი; მას არასოდეს ბავში არა ჰყოლია, ჯერ კიდევ ძლიერ ახალგაზდა იყო, ლოყები ვარდივით წითელი ქონდა, როგორც სერგეი გოლოვინს, მაგრამ ყველა დანარჩენების დედა გვეგონებოდათ; ისეთი იყო მისი მზრუნველობა, ისეთი უსაზღვრო სიყვარულით იყო სავსე მისი თვალები, ისეთი თბილი იყო მისი ღიმილი, მეგობრული, ამხანაგური მისი კრძალვა—შიში.

სასამართლოს არავითარ ყურადღებას არ აქცევდა, ის მისთვის სულ უცხო, გარეშე იყო, უსმენდა მხოლოთ ამხანაგების პასუხს: ხომ ხმა არავის უკანკალებს, ხომ არავის შეეშინდა, წყალი ხომ არავის არ მოუწდაო.

ვასიასთვის ვერ შეეხებდა ბოღმის გამო და მხოლოთ თავის ატვირთულ თითებს იმტვრევდა უჩუმრათ; მუსიასა და ვერნერს ამაყურათა და პატივის ცემით უცქეროდა, სერიოზულის, დამდგარის სახით, სერგეი გოლოვინისთვის კი სულ ცდილობდა თავისი ღიმილი გადაედო.

— ჩემი ბიჭუნია, ცას გაცსქერის... უყურე, უცქირე გენაცვა, — ფიქრობდა გოლოვინზე.

— ვასია? რა ვუყო, ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო... რა ვუყო მაგას? ვუთხრა რამე—ვაი თუ

უარესი იყოს რომ ატირდეს, რა ვქნა მაშინ?

როგორც დაწმენდილი, წყნარი ტბა გამოხატავს ხოლმე თავის წიაღში თვითეულ მცურავ ღრუბელს, ისე მისს, თქვირ, საყვარელ, კეთილ სახეზე იხატებოდა თვითეული მათი გრძნობა, თვითოული აზრი იმ ოთხისა. სრულებით არა ფიქრობდა იმაზე, რომ მასაც სხვებივით გაასამართლებენ და ჩამოახრჩობენ, ამას ის გულგრილათ უცქეროდა; მაგის ბინაზე იყო რომ იპოვნეს ყუმბარებისა და დინამიტის საწყობი, თუმცა ვასაკვირვალთა, მაგრამ ეს იყო, რომ რევოლვერის სროლით უპასუხა პოლიციას და ერთი ჯაშუში დასჭრა კიდევ თავში.

საქმის გარჩევა საღამოს 8 საათზე დასრულდა. ბნელოდა კიდევ, მუსიას და სერგეი გოლოვინის თვალებში ღურჯათ მომხერალიცა თანდათან ქრებოდა, იმალებოდა, მაგრამ ერთხელაც არის ვარდის ფერი არ გადაუკრავს მისთვის, ერთხელაც არის არ გაუღიმიოდა მას ჩუმათ, როგორც ზაფხულის საღამოზე ხოლმე, პირიქით, აიძვრა, ნისლით გაიბადა, უცბათ გაცივდა, ზამთრის სუღარა გადაეფარა. გოლოვინმა ამოიოხრა, გაიზმორა, ერთიორჯერ კიდევ გაიხედა ფანჯარაში, მაგრამ იქ უკვე ცივი, ღამის წყვდიადი გამეფებულყო; წვერის წიწკნით, ბავშურის ხალისით დაუწყო თვალიერება მოსამართლეებს, თოფიან სალდათებს, გაუღიმა ტანია კოვალჩუკს. რაკი ცა მიიმალა და გაქრა, მუსიამ ფანჯარიდან დამშვიდებით, თავდაუხრელათ გადაიტანა ძირს დარბაზის კუთხეზე, სადაც სითბოსაგან ჩუმათ ირხეოდა ობობას ქსელი; ასე დარჩა განაჩენის გამოცხადებამდე.

განაჩენის შემდეგ დამნაშავენი გამოეთხოვენ ფრაკიან დამცველებს, რომელთა გაფანტულ, საცოდავ და დანაშაულ სახეთათვის მათ არ უნდათ ეცქირათ, კარებში შეიკრიბნენ ერთი წუთით და რამდენიმე სიტყვები უთხრეს ერთი მეორეს.

— არაფერია, ვასია. ჩქარა ყველაფერი გათავდება, — უთხრა ვერნერმა.

— მე არაფერი არ მიშავს ძამიკო, — ხმამალდა, მშვიდათ და თითქოს მხიარულათაც უპასუხა კაშინინმა. მართლაც მისი სახე ოდნავ გავარდისფერდა და აღარ ჰგავდა გახრწნის პირზე მიმდგარ გვამს.

— არ ჩამოგვანხრევენ მაგ ოხრებმა?! — გულუბრყვილოთ შეუკურთხა გოლოვინმა.

— ასეც იყო მოსალოდნელი, — უპასუხა წყნარათ ვენერმა.

— ხვალ საბოლოოთ გამოგვიცხადებენ განაჩენს და ერთად ჩავგვამენ ყველას, — სთქვა კოვალჩუკმა, ნუგეშით. — ჩამოახრჩობამდე სულ ერთად ვისხდებით.

მუსია ჩუმად იყო. ბოლოს თამამის ნაბიჯით გასწიეს წინ.

3. მე ნუ ჩამომახრობთ.

ორი კვირით ადრე ტერორისტების გასამართლებისა იმავე სამხედრო-საოლქო სასამართლოში, მაგრამ სხვა მოსამართლეებმა, გაასამართლეს და ჩამოახრობა მიუსაჯეს ივანე იანსონს, გლეხკაცს.

ეს ივანე იანსონი მოჯამაგირეთ იდგა ერთ შეძლებულ ფერმერთან და არაფრით არ განსხვავდებოდა მაინცა და მაინცსხვა მარავალ საწყალი მოჯამაგირეებსაგან, ესტონელი იყო ჩამომავლობით ვეზენბერგიდან. რამდენიმე წელიწადი ეთრია ერთი ფერმიდან მეორეზე და ბოლოს სატახტო ქალაქსაც მიუახლოვდა. რუსულად ძლიერ ცუდაც ლაპარაკობდა და, რადგან მისი ალა რუსი იყო, ლ-ზარევი გვართ, ახლო-მახლო კი ესტონელები არ ცხოვრობდენ ამიტომ იანსონი თითქმის მთელი 2 წელიწადი ჩუმად იყო

ისედაც ეტყობოდა, რომ ბევრი ლაპარაკი არ უყვარდა და არა მარტო ადამიანებთან, ცხოველებთანაც სდუმდა ხოლმე: უხმოთ ალევინებდა ხოლმე ცხენს წყალს, უხმოთვე შეებადა მას უღელში, უვლიდა რა გარშემო ნელს და მძიმე ნაბიჯით, და როცა მისი დუმილით უკმაყოფილო ცხენი, გაუჟინიანდებოდა და ცმუკვას დაიწყებდა, ხმას არ ამოიღებდა, ისე წაუშენდა პირუტყვს მსხვილ მათრახს. სცემდა უწყალოთ ცივთ და გაბორბტებით, და თუ მთვრალი იყო, გაცოფებამდის მივიდოდა ხოლმე. სახლამდე მიდიოდა ხოლმე ამისთანა დროს მათრახის თხლაშუნისა და თავლის ფიცრის იატაკზე შეშინებული ცხენის ჩლიქების ნაწყეტ-ნაწყეტი ცემის ხმა. იანსონს მისი ალა სცემდა—ცხენს ნუ სცემო, მაგრამ ვერაფერს გახდა და თავი მიანება.

ერთხელ თუ ორჯერ თვეში იანსონი დაითვრებოდა ხოლმე, ხდებოდა ეს ჩვეულებრივ იმ დღეებში, როცა თავის ალას წაიყვანდა ხოლმე მახლობელ რკინის გზის სადგურზე, სადაც ბუფეტი იყო. გადმოსვამდა თავის ალას, ნახევარი ვერსტით მოშორდებოდა სადგურს, მიაქანებდა მარხილს ღრმა თოვლში და იქ უცდიდა მატარებლის წასვლას. მარხილთ გვერდზე იყო წამოწეული, თითქმის იწვა კიდეც თოვლში, ცხენი მუცლამდე ჩაფლულიყო თოვლში გაჩაჩხული ფეხებით და ხანდახან დაიწეოდა ხოლმე რბილი ფიფქი თოვლის მოსალოკათ იანსონი კი, ნახევრათ წამოწოლილი მარხილში, თითქოს სთვლემდა. მას, გახუნებული ტყავის ქუდის გახსნილი

ყურსაფრები ძირს ჩამოჰკიდებოდა, მამებარი ძაღლის ყურებრივით და პტარა ოდნავ წითელ ცხვირ ქვეშ მოსვებოდა.

წავიდოდა თუ არა მატარებელი, იანსონი სადგურზე მიბრუნდებოდა და სწრაფად დაითვრებოდა,

ა. ლომთათიძე.

(შემდგი იქნება).

უ რ ვ ა.

(სტრაქინება)

ა.

წარსულში გული, გრძობათ აშლილი ნელ-საკმეველათ დნებოდა თრთოლვით. — როცა ვასრკვლავნი მოციმციმენი ცის ლურჯ კამარას სწყდებოდენ კრთოლვით.

მაშინ ჩემს გულში გრძობა მღელვარე ხან ცოცხლდებოდა და ხან კვდებოდა, — როცა ძირს მიწას მზის სიცხოველე, მთვარისა შუქი გულში სწვდებოდა.

მაშინ ჩემს გულში აღშფოთებული დრტვინავდა ჰკენესდა გრძობა მწუხარე, — როცა ცის სივრცეს ვერა სწვდებოდა ცხოვრების ზღვისა ტალღა მქუხარე.

ბ.

გამიქრა ჟამი—როცა აღერსით ვეწაფებოდი ყვავილზე ნამსა და სიყვარულით გატაცებული მივაქროლებდი სატრფოასკენ ნავსა აღარ მაგონებს მიჯნურის თვალგზს ვნებით აღვისილი დისკოსი მთვარის ჩამოსწყდა გული სიცოცხლის ბგერას— აწ „ყოველივე ამაო არის„!..

გაცივდა გრძობა, აღარ იფეთქებს, თუნდ ზე-დამექცეს ედემის წყარო, ვერ განმიკურნავს იარას წყლულსა გულ-ცივი მიწა, ვრცელი სამყარო.

გ.

ეჰ, რაც მიყვარდა და რაცა მწამდა რად შეიცვალა და რად დაიქცა! დღემდე კოცნოათ მგზნებარე გული დანელდა... ჩაჰქრა... ფერფლად ჩაიქცა.



თუ ზღვამ ჩაძირა, ტალღამ მომტაცა
მთრთოლოვარე გული არ ვიცი, არა! —

თუ ქარტახილმა შორს გაიტაცა
და უდაბნოში ქვიშამ დაჰფარა?

თუ მთის არწივმა მომგლიჯა იგი
და გადაუგდო ამყს მყინვარსა;
იქ ყინვის მთებმა დაასამარეს —
დაუმორჩილეს სიკვდილს მძვინვარსა?

თუ, როცა ვნებით მომაჯადოვეს,
გრძნობა წარმტაცეს სატრფოს თვალებმა,
მაშინ!... მაშინ ის სიცილ-კისკისით
დაგლიჯ-დაფლითეს ეშხთა-ალებმა?!

ბაბილინა.

ცოტა რამ ხელოვნებაზე.

II

როგორც პირველ წერილში ვამბობდით, ხელოვნების შინაარსს, მეცნიერთა შეხედულებით, უმთავრესათ სიმშვენიერე შეადგენს, სიმშვენიერესილამაზე ხელოვნების ესენციათ ითვლება. ადამიანის სულიერ არსებას გარეგანი საგნების, ანუ სწორეთ რომ ვსთქვათ — შთაბეჭდილებათა ობიექტების ზოგიერთა მოქმედებანი, ზოგიერთა ზედა გავლენანი შეუძლიან მხოლოდ უბრალოთ, სუსტათ იგრძნოს, შეუძლიან უბრალოთ შეიმცნიოს, და ამ შთაბეჭდილებებს მისი ფსიხია ინდიფერენტულ-ნიეტრალურათ შეხედეს, ადამიანის შემეცნებაში ღირს შესანიშნავი კვალი არ დასტოვოს. მაგრამ ისიც ადვილათ შესაძლოა, რომ შთაბეჭდილებების ობიექტებმა ანუ საგნებმა ადამიანის სულიერ-გონებრივ შემეცნებაზე, მის ფსიხიაზე, როგორც გრძნობა-შთაბეჭდილებამ — იმოქმედოს, რომლებიც თავის მხრივ ადამიანის სულიერ შემეცნებაში იწვევენ ერთნაირ სიამოვნებას თუ არა სიამოვნებას, აღვლევებს თუ დამშვიდებებს, აღფრთოვნებას თუ მოძულება-შეწუხებას. ის ერთგვარი სიამოვნების, თუ მეცნიერების გრძნობა, რომელიც ჩვენ მიერ დასახელებულ სამ მთავარ შთაბეჭდილებათა მიმდინარეობის ნაყოფია და რომელიც მუდამ და ყოველთვის გარეგან ქვეყნის ზედ-მოქმედების შედეგია, ვგრძნობთ მას სმენელობის თუ მხედველობის მის და საერთო ჩვენი გრძნობების საშუალებით შთაბეჭდილებათა ობიექტების — საგნების თვისებათ, ვაღვიარებთ მის განუყრელ ატრიბუტათ,

რომელიც და — ბოლოს სიმშვენიერეთ — სილამაზეთ ითვლება.

სიმშვენიერის ასეთი განმარტება ძრიელათ წააგავს სპინოზას სიყვარულის განმარტებას; მართლაც სიყვარულსა და სიმშვენიერის შორის მჭიდრო მიმგზავება, ახლო ნათესაობა არსებობს. მხოლოდ განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ სიყვარული უმთავრესათ ადამიანის სულიერ მდგომარეობის, სულიერ გრძნობის აქტიური გამოხატულებაა, სიმშვენიერე კი მხოლოდ თვისებაა, ატრიბუტი გარეგან საგნისა, სიმშვენიერე აღვიძებს, იწვევს სიყვარულს, მაგრამ იგი მაინც არ არის სიყვარული, ნამდვილი სიყვარულის გრძნობა, ფიგურალურათ რომ გამოსთქვათ — სიმშვენიერე ყვაფილია, სიყვარული კი პეპელა, სიმშვენიერე მისასწრაფებელია, სიყვარული კი თითონ არის მისასწრაფება-სურვილი.

ის უნარი ანუ თვისება, რომლის საშუალებითაც ჩვენ ობიექტთა ზოგიერთა თვისებებს სიმშვენიერეთ ვიგრძნობთ ხოლმე, რასაკვირველია, არ შეიძლება მხოლოდ ადამიანის კუთვნილებათ ვაღვიაროთ, ასეთივე უნარ-თვისებები ჩასახულია უმაღლესათ განვითარებულ ცხოველებში, მწერებში და ფრინველებში, რომლების გრძნობა, როგორც თვით ადამიანისა, ზოგიერთა სინათლისა და ტონის (ხმის) ზედა მოქმედებიდან თავისებურ სიამოვნების შთაბეჭდილებას იღებენ, თავისებურ სიამოვნებას გრძნობენ. დასაწყისი სიმშვენიერის წარმოდგენისა, ექვს გარეშეა, ცხოველებში ისეთი ხორციელ შთაბეჭდილებებში ისახებიან, რომელიც თვითაოეულ ორგანიზმისთვის თუ მთელი ჯიშისთვის კარგი, სასარგებლო და სასიამოვნო არიან, ფრინველ-მწერებში სიმშვენიერის გრძნობა — წარმოდგენა ადვილათ დასახ-შესამჩნევია, ვინაიდან იგი მათ სქესობრივ სიამოვნებაში, სქესობრივ ცხოვრებაში გამოიხატება. თავისთავათ საგულისხმოა, რომ ადამიანთა სიმშვენიერის წარმოდგენა პირველათ, როცა იგი განვითარების პირველ საფეხურზე იმყოფებოდა, წმინდა ხორციელი და ფიზიკური იყო; მთელი მისი სიმშვენიერის გრძნობა-წარმოდგენა ფიზიკურ სიამოვნების, სქესობრივ ცხოვრების გარეშემო ტრიალებდა, მხოლოდ შემთა ვითარების გამო ეს ბუნდოვანი, წმინდა ხორციელთა სიმშვენიერის გრძნობა თან-და-თან განვითარდა, მრავალმხროვანი და ღრმა შინაარსისა გახდა. პრიმიტიული — განუვითარებელი ადამიანისთვის ღიღი ხნის განმავლობაში ცხოველის თუ ადამიანის გარეგანი აგებულება, გარეგანი სახე, რომელიც მისი ხელის ნამოქმედრია, ან და ბუნების მიერ წარმოშობილი საგანია, ვრ-

თათ-ერთი სიმშვენიერეა, აქ ხედავდა ყოველ-გარ სიმშვენიერეს და ამით იკმაყოფილებდა თავის ესტ-ტიკურ გრძნობას. მთელი ხნის განმავლობაში მხედველობის მსმენელობის და საერთოთ გრძნობის ორგანოები ერთათ ერთი მოამძრავებელი ფაქტორი იყო პირველ ყოფილ ადამიანის სიმშვენიერის გრძნობისა, სიმშვენიერის წარმოდგენისა, თანამედროვე ადამიანის სიმშვენიერის გრძნობა-წარმოდგენა მთელი თავისი სიღრმე-სიმაღლით, შინაგან გამოხატულობით მხოლოდ მის ათას და ათიათას წლოების განვითარების შედეგია, თანამედროვე ამაღლებულ დაფაქიზებული სიმშვენიერის გრძნობა-წარმოდგენა მხოლოდ გამოხმაურებაა არსებულ განვითარებულ ცხოვრებისა.

ასე, როგორც ვხედავთ, ადამიანის სიმშვენიერის გრძნობა, ადამიანის სიმშვენიერის წარმოდგენა, ადამიანის შემეცნიერებასთან ერთათ გაიზარდა, მასთან ერთათ გაღრმავდა და გაფაქიზდა. რამდენათაც ადამიანის შემეცნების ფარგალი ფართოვდებოდა, რამდენათაც ადამიანის სულიერი კავშირი გარეგან და შინაგან ყველასთან მრავალ მხროვანი, რთული, მდიდარი და ამაღლებული ხდებოდა, იმდენათ მისი სიმშვენიერის გრძნობას, პირველთან თანგაყოლით განვითარების გზაზე წინ და წინ მიდიოდა. მხოლოდ ასეთ განვითარებულ პირობებში ადამიანის სიმშვენიერის გრძნობამ სპეციფიკური, ადამიანური ხასიათი მიიღო სპეციალურათ ადამიანის კუთვნილებათ გახდა და მით სიმშვენიერის გრძნობას დაკარგა ემბრიოლოგიური ფორმა, პირველ ყოფილი სახე, რომელიც მაღალ განვითარებულ ცხოველებს და ველურ ხალხების კუთვნილებათ ითვლება. სიმშვენიერის გრძნობა, გრძნობა სილამაზისადმი, მთელა მისი შინაარსი მხოლოდ და მხოლოდ საზოგადოებრივ ცხოვრების ნაყოფია. ადამიანის შემეცნება. მთელი მისი კონკრეტიული გრძნობები, მისი წარმოდგენები, მხოლოდ გამოხმაურებაა არსებულ საზოგადოებრივ ცხოვრებისა, აქ ღებულობს იგი დასაწყის და აქედან საზრდოობს იგი. და ვინ ამ რეალურ პირობებს, არსებულ ფაქტორს, რომლებაც განსაზღვრავენ ადამიანის მთელ არსს სიმშვენიერის ახსნა-განმარტების დროს, უყურადღებოთ დასტოვებს, იგი მეტათ შესცდებოდა და სისწორით ვერ განმარტავს მას. ჩვენ კიდევ, ვიტყვი, რომ სიმშვენიერე ადამიანის ბუნების გარეშე არ არსებობს, ადამიანის ბუნება კი საზოგადოების.

ყოველი ხელოვანი, არის იგი ჩვეულებრივ ნიჭის და გენიოსი, პირველათ ხორციელი, მგრძნობელი ადამიანია, იგი უმაღლესად გრძნობს ხორციელ გრძნობა-შთაბეჭდილებას. ადამიანი მთელი თავის

გრძნობა შთაბეჭდილებით, გრძნობს ფერის და ხმის ზების სიმშვენიერეს, ტაქტის და რითმის შრიალს, ტონის (ხმის) ჰარმონიას, ყველა ერთად კი იწვევს მასში აღფრთოვნებას, სიამოვნების გრძნობას. ადამიანის სხეული, ადამიანის ფიზიკური არსებობა სიამოვნების ჭურჭელია, გარეგანი ქვეყანა კი მისთვის დაუშრეტელი სიმშვენიერის წყარო და ეს გარეგანი მრავალ-მხროვანი, განუწყვეტელი შთაბეჭდილებანი მთავარი საფუძველია ყოველ ხელოვანის მოქმედებისა, მისი გარეგანი ხელოვნური ნაწარმოები მხოლოდ ამ გრძნობების ფიგურალური გამოხატულებაა. ყოველი ხელოვანი, რომელიც კი, სიმშვენიერის გრძნობა-შთაბეჭდილებას კონკრეტიულათ, გარეგან ფორმით გამოხატავს, იგი პირველათ განიცდის ხოლმე თავის შინაგან ცხოვრებაში, იგი ნაწილია მის შინაგან შთაბეჭდილებისა. გამოთქმული სიამოვნება, ტკბილი და სასიამოვნო მოძრაობა, რომელიც გამოწვეულია, რითმის და ლექსთა წყობილებით, ფერით და ფორმებით, ხმით და სიმეტრიით, უპირველესათ, უმაღლესათ გამოხმაურებაა, იმ შინაგან სულიერ მდგომარეობის, რომელსაც კი განიცდის თვით ხელოვანი, უკანასკნელ მდგომარეობის მთავარი გამომწვევი კი, როგორც ვიცით, თვით ადამიანთა ცხოვრებაა,

შეარცი.

(შემდეგი იქნება)

ოხ, ღმერთო ჩემო!

უკვე მწუხრდება... ჩამაღალი მზისა სხივები უკანასკნელათ ანათებენ მათათ თხემებსა და სიცხოველეს მოკლებულნი განაცხივები უერთდებიან დასავლეთით ზღვისა შხეფებსა.

ქვეყნათ მყარდება მყუდროება დამატკობელი სიზმართ მანდილი ეფინება დაბა სოფლებსა, სდუმს ყოველივე, მხოლოთ მთისა ნიავე გრილი ნაზის მობერვით აშრიალებს ხეზე ფოთლესა.

მე სერზე ვდგევარ. გაღმავცქერი ძირს არე მარეს გულ ხელ კრეფილი სევდიანი, დაფიქრებული, ნელათ მოღელავს ჩემს წინაშე მდინარე მტკვარი ქველთა ლივლივით და ზილფებით დამშვენიებული, ფირუზი ზეცა მოქედილის ვარსკლავებითა ვითარც სარკეში მისს ზვირთებში კრთება ციმციმებს, ტურფა სუმბული მისს კიდებზე გადაყრდნობილი



ნახის ქოჩორით ეწაფება მარგალიტის ცვრებს.
 მაგრამ მე ბედკრულს ფიქრებისა ნისლით მო-
 ბურულს
 ვერ მახალისებს არე-მარე მინაზებულნი
 ამაოთ გავცქერ მოციმციმე ლაქვარდ ცის კიდურს
 ვერ მინელდება გულს სახმილი მწველ აღგზნებული
 მკაფიოთ მესმის მიძინებულ დაბა სოფლიდან
 კენესა გოდება ხელ ფეხებზე ხუნდთა ჟღარუნი
 ოხ ღმერთო ჩემო! ნუ თუ შენსა სახიერებას
 მხოლოთ წვალეა ქვევანათა აქვს წილათ ნარგუნი.

დ. თურდოხპარელი.

ო ბ ო ბ ა

(განს ევერსისა)

სტუდენტმა რიჩარდ ბრაკერმონმა გადასწყვიტა დაეჭირავებინა ქ-ნ დიუბონეს სასტუმროს მეშვიდე ნომერი, მიუხედავად იმისა, რომ მან იცოდა ამ ოთახში სამი კვირის განმავლობაში, პარასკეობით, საღამოს ხუთიდან ექვს საათამდე, სამმა მდგმურმა ჩამოიხრჩო თავი.

პირველი იყო შვეიცარიელი კომივიოიაციერი. მისი გვამი ნახეს შაბათ საღამოს, მაგრამ ექიმმა შეამოწმა, რომ მას პარასკევს საღამოს ექვს საათზე ჩამოეხრჩო თავი. გვამი სარკმელთან ეკიდა თოკის მაგიერ ფარდის ზონარი ეხმარა, რომელიც სარკმლის ჩარჩოში მიჭედოდა კოჭაკზე ჩამოვსება. სარკმელი მაღალი არ იყო, ასე რომ ჩამოხრჩობის დროს ფეხები იატაკს სწვდებოდა და ამიტომ დიდი ენერჯია ეხმარა რომ სისრულეში მოეყვანა განზრახვა.

ჩამოხრჩობის მიზეზი გამოუჩვენებელი დარჩა.

ყველამ კარგათ იცოდა, რომ მას ყავდა ცოლი და შვილები, მატერიალურათ უზრუნველი იყო და მუდამ მზიარული ხესათის იყო. განსვენებულს არ დაუტოვებია არავითარი წერილი... მისი სიკვდილი რაღაც საიდუმლოებით იყო მოცული.

ასეთი ამბავი შეემთხვა მეორე თავის მკვლელსაც. ის იყო ცირკის არტისტი კარლოს კრაუზე. იმ უბედურ პარასკევს, როცა ის წარმოდგენის დაწყების დროს არ გამოცხადდა ცირკში, დირექტორმა გაგზავნა მის ოთახში ლაქია, რომელმაც ის ჩამოხრჩვალი იპოვნა. ყველა გააოცა ამ ამბავმა კარლოს კრაუზე საუკეთესო არტისტათ ითვლებოდა, საზოგადოება მას პატივს სცემდა, მატერიალურათ

უზრუნველი იყო და უცბათ თავი ჩამოიხრჩო....

ამ უბედურის გაციებული გვამიც იმავე სარკმელთან იყო თოკზე ჩამოკონწილებული. არც ამას დაეტოვებინა არავითარი ბარათი....

ამ გარემოებამ დიდი ზარალი მოუტანა ქ-ნ დიუბონეს, დანარჩენი მდგმურები საჩქაროთ გაშორდნენ ამ ჯადოსნურ სასტუმროს. დიუბონემ მიმართა მეცხრე ნაწილის კომისარს და დახმარება სთხოვა. კომისარმა აღუთქა შეემსუბუქებია მისი მდგომარეობა ამ თვითმკვლელობის მიზეზების აღმოჩენით და დაავალა ერთ თავის ქვეშევრდომს დამდგარიყო იმ საიდუმლო ოთახში. ეს იყო გოროდოვი შომიე სამსახურიდან გამოსული სერჟანტი, რომელსაც თავის სიცოცხლეში ბევრი რამ გადახედოდა და ბევრი რამ ენახა.

ის გადავიდა სასტუმროში შაბათ საღამოს და გადასვლისათნავე საუცხოვოთ გრძნობდა თავს ქ-ნ დიუბონთან, რომელიც მას მზრუნველობით უვლიდა.

დღეში ორხელ ის უნდა მისულიყო საპოლიცო ნაწილში და მოხსენება გაეკეთებია. პირველ დღეებში მან სრულებით ვერაფერი ვერ შეამჩნია. ოთხშაბათ საღამოს განაცხადა, რომ „რაღაც“ შენიშნა, მაგრამ დანამდვილებით ჯერ კარგათ ვერ გაეგო ამ „რაღაცას“ ქონდა თუ არა რაიმე დამოკიდებულება თვითმკვლელობასთან. ხუთშაბათს მას რაღაც აღეღვება ეტყობოდა მოხსენების გაკეთების დროს. პარასკევ დილით ის ძლიერ აღელვებული იყო და ხუმრობით სთქვა იმ სარკმელს რაღაც მიმშიდველი ძალა აქვსო.

საღამოზე ის აღარ მისულა პოლიციაში, მივიდნენ მის ოთახში და იმავე სარკმელზე, იმავე ზონარით ჩამომხეჩვალა იპოვეს. არავითარი წერილი... ყველა მდგურებმა დასტოვეს სასტუმრო.

მეორე დღეს შევიდა ქ-ნ დიუბონესთან არტისტკა მარი გარდენი და შესანშნავი ზონარი იყიდა მისგან 200 მარკათ- ეს ამბავი, რომ ზაფხულში მომხდარიყო ამ ზონარში ის ორჯერ მეტს აიღებდა რადგან გაზეთებს სჭირია თ ასეთი მასალა.

პოლიცია ფრიად დაინტერესდა ამ ამბით და გადასწყვიტა რათაც უნდა დასჯდომოდა გაეგო ყველა ამ უბედურ შემთხვევების მიზეზები, მან წინადადება სისცა ვისაც სურდა დაეჭირა ეს ოთხი სასმელ-საჭმელით მუქათ, ოღონდაც დახმარებოდა საიდუმლოების აღმოჩენაში

სურვილი 27 კაცმა განაცხადა, მათ შორის სამი ქალიც იყო, მაგრამ უპირატესობა სტუდენტ —მედიკ რიჩარდ ბრაკერმონს მისცეს. უკანასკნელ

თვითმკვლევლობიდან სულ ორი კვირა იყო გეასული რაც ის ამ ოთახში გადასახლდა.

დადგომისთანავე მან დაიწყო დღიურის წერა, სადაც ყოველ დღიურ შენიშვნებს სწერდა.

თბილისი, 28 თებერვალი.

გუშინ საღამოს გადმოვედი. მშვენივრათ მეძინა. დილის ცხრა საათზე გამაღვიძა დიასახლისმა და საუცხოვო საუზმე მომართვა, დღე კარგათ გავატარე, ვიცი რომ საფრთხე მომეღიძნა, მაგრამ მაინც ვცდი, მე მარტო არ მინდოდა მესარგებლა მუქთი ბინით, ალბათ ყველა ჩემი კონკურენტები უკიდურესი ღარიბები არიან, მაგრამ კომისარმა მე ამირაია და დიდი იმედიც აქვს ჩემი... რასაკვირველია დღეში ორხელ წესიერათ მოვახსენებ პოლიციას... იმედს მივცემ... მერე რასაც იტყვიან ჩემთვის სულ ერთია... თუ გაიგებენ, რომ მათ დავსცინოდი, მახლას... ჯერ კი ელოდონ საიდუმლოების გამომჟღავნებას მე აქ საუცხოვოთ ვგრძნობ თავს და ეს კი ჩემთვის უპირველესია.

კომისარმა განსაზღვრული გეგმა მომთხოვა, მე მაშინვე განუცხადე, რომ გეგმა შედგენილი მაქვს, მაგრამ ის ჯერ ჯერობით სახიფათოა, მე მზათ ვარ ყველაფერი გავუმჟღავნო მას უკეთუ თვით შეასრულებს ყველაფერს... მე შევნიშნე რომ თავისთავისადმი უნდობლობის გრძობამ გაიღვიძა ჩემში... რომ ჩემი პრესტიჟი არ დაეცეს მის თვალში, რაც პირზე მომადგება ყველასფერს ვეუბნები, მე მას განვუცხადე, რომ სამივე უბედურება ერთ განსაზღვრულ საათზე მოხდა, ერთ და იმავე დღეს—იუდელების გამოანგარიშებით—იმ საათზე, როცა იესო ქრისტე გაქრა საფლავიდან... ეს საკმარისი იყო მისთვის... კომისარმა ისეთი სახე მიიღო, თითქო მან დიდი რამე გაიგო.

ერთ საღამოს მე მივედი მასთან- საწერ მაგიდაზე ახალ ალტმის წიგნი გაეშალა და კითხულობდა. დაშინახა თუ არა მითხრა, რომ მან გაიგო ყველაფერი ჩემი ნათქვამიდან და აღმითქვა ყოველივე დახმარება. სიმართლე უნდა ვსთქვა, რომ კომისარი საუკეთესო თანაშემწე გამოდგა ჩემი ამ საქმეში; მისი განკარგულებით მე მშვენივრათ მიწახვეს დიასახლისი; პოლიციიდან მე მომიტანეს რევოლვერი, თამბაქო, ყალიონი. ერთ პოლიციელს სასტიკათ უბრძანეს ყოველ დღე მოსულიყო ჩემთან, რომ აესრულებია ჩემი ბრძანება. დასასრულ ჩემს საწერ მაგიდაზე ტელეფონი გამართეს, რომ შემთხვევის დროს პოლიციელებისათვის შემეტყობინებია.

მაგრამ მიუხედავად ყველა ამისა, დრო და დრო რაღაც გამოურკვეველი ბოღმა-ნაღველი გულს მიწყალებს.

ირეთელი.


(დასასრული იქნება).

რუსულ ახალ მწერლობის ისტორია

(გაგრძელება იხ. „სხივი“ № 5).

ახლა გავითვალისწინოთ რა მდგომარეობაში იყო რუსული ლიტერატურა, იმ დროს, როცა მეცნიერებას და უნივერსიტეტს ასე სასტიკათ სდევნიდნენ და ყოველ ღონეს ხმარობდნენ მათ გასანადგურებლათ. ამ დროს ლიტერატურაც ისეთ მწვავე მდგომარეობას განიცდიდა, არსებულ რეჟიმის წყალობით, როგორც ყოველი თავისუფალი აზრი, ყოველი თავისუფალი სიტყვა, მეცნიერება და უნივერსიტეტები. 1848 წელს ძალაში იყო 1828 წლის ცენზურა, რომელსაც, როგორც ერთმა ცენზორმა სთქვა, „**მამაოჩენო**“-ც კი უფრთხობდა ძილს და აქაც კრამოლას ხედავდა. ეს დახვეწებული საცენზურო წესდება მუხრუქს უჭერდა ლიტერატურას და სულსა და გულს აცლიდა. უვაროვი თავის მოხსენებაში უნივერსიტეტებს გარდა ცენზურის საკითხსაც შეეხო. ის ამბობდა, რომ „საკმაო არ არის აილაგმოს ჟურნალისტების სურვილები შეეხონ სახელმწიფო საქმეებს“. „როცა კარგათ ჩაუკვირდა საქმეს“, უვაროვი დარწმუნდა, რომ ჟურნალისტსაც აქვთ ცუდი გავლენა ხალხზე. აქედან აშკარაა თუ როგორ ებყრობოდა ცენზურა ლიტერატურას. თუ რა მდგომარეობაში აყენებდა პრესას ნიკოლოზის ეპოქის ცენზურა, ამის დასასურათებლათ საკმარისია მოვიყვანოთ ერთი ადგილი ნიკიტენკას დღიურიდან.

„ცენზორის მოქმედება ყოველივე მოლოდინს აჭარბებს. რა უნდათ ვითომ ამით რომ ქნან? ვითომ უნდათ შეაჩერონ აზრთა მსვლელობა-განვითარება? ეს ხომ იგივე იქნება, რომ მდინარეს უბრძანონ აღმა წავიდეს, აბა მაგალითებს ყური დაუგდეთ: ცენზორმა ახმატოვმა შეაჩერა არითმეტიკის ერთი წიგნის ბეჭდვა, რადგან ერთ ამოცანაში ციფრებზე შუა წერტილები შეამჩნია. ამ წერტილებში არით-



მეტეიკის შემდგენელის რაღაც დაფარული აზრი აღ-
ნოაჩინა.

ცენზორმა ელაგინმა ერთ გეოგრაფიულ წე-
რილში არ გაუშვა ის ადგილი სადაც ნათქვამი იყო,
რომ ციმბირში მარხილებში ძაღლებს აბამენ და
ისე დადიანო. თავის მოქმედების საბუთათ ელაგინ-
მა ის მოიყვანა, რომ ასეთი ცნობა შინაგან საქმეთა
სამინისტრომ უნდა შეამოწმოსო.

ცენზორმა პეიკერმა არ გაუშვა ერთი მეტეორო-
ლოგიური სქემა სადაც თვის რიცხვი აღნიშნული
იყო ძველი და ახალი სტილი ამ გვარათ:

ძველი სტილი
ახალი სტილი.

მან მოითხოვა რომ ხახის ზემოთ ყოფილიყო ახალი
სტილით და ქვემოთ ძველი სტილი. ეს სქემა დაბეჭდი-
ლი იყო, როცა წარუდგინეს ხელმოსაწერათ, რადგან
არავის ეჭვი არ ქონდა რომ გაუშვებდნენ.
ცენზორ პეიკერის წყალობით, გამომცემელს მეტი
გზა არ ქონდა, ხელმეორეთ უნდა დაებეჭდა ეს სქე-
და ამ გვარათ დიდი ზარალი ენახა. მან მიმართა
მზრუნველს, რომელიც, როგორც იქნა, დიდი ფიქრი
და დავიდარაბის შემდეგ დასთანხმდა დარჩენილიყო
ისე, როგორც დაბეჭდილი იყო“.

ეს ორიოდე მაგალითი საქმათ ასურათებს, თუ
როგორი იყო იმ დროის ცენზურა. ამ მაგალითებით
აშკარათ შეგვიძლია დავინახოთ, თუ რა დიდ
შევიწროებას განიცდიდა რუსული ლიტერატურა,
რომლის ბედ-იღბალი ცენზორის ჟინიანობა
ზე იყო დამყარებული. ასეთი იყო ნიკოლოზი-
ეპოქის დროის სინამდვილე, ამიტომ გასაკვირი არ
არის თუ რუსულმა ლიტერატურამ გვიან მიაგნო
ამ სინამდვილეს, რომელიც მიუვალ კედლებით გარ-
შემორტყმული იყო. არც ის არის გასაკვირი, რომ
რუსულმა ლიტერატურამ განყენებულ აზროვნობი-
დან და უტაბურ ოცნებებიდან დაიწყო მოქმედება-
მან შექმნა ის ბურუსიანი ადვალები, რომლებიც
შორიდან აშუქებდნენ, მათთვის მიუწოდომელ, რეალურ
ცხოვრებას. მას არ შეეძლო ერთბაშით ხორცი შე-
ესხა ამ იდეალებისთვის ამის წყალობით ამ დროს
იდიალიზმს დიდი გასავალ ქონდა, რასაც ფრიად
ხელს უწყობდა დასავლეთიდან მონაბერი იდეები.

(შემდეგი იქნება)

რედაქტორ-გამომცემელი ე. ტურაბელიძე.

განცხადებანი

1910 წლის 2 იანვრიდან გამოდის

ახალი კვირეული სსსსტვრ-სსსსტვრ-სსსსტვრ
სურათებანი ჟურნალი

თეატრი და ცხოვრება

იუმორისტულ განყოფილებით და კარიკატურ-
რებით.

ჟურნალის მიზანია სათეატრო საკითხების გარკვევა-მანხილ-
ვა. თეატრის წარსული და აწმყო, ისტორია. დაიბეჭდება
თეატრის შესახებ წერილები, პიესები, ლექსები, მოთხრო-
ბები და სს. ყველა №-ში დაიბეჭდება სარეპერტუარო
პიესა.

ჟურნალში მონაწილეებს შიადეკენ:

- ვ. აბაშიძე, მ. ადამაშვილი, ს. გლახაშვილი, ი. გო-
მართელი, პ. გოთუა, ი. ბრიშაშვილი, ვ. გუნია, პ.
დადვაძე, შ. დადიანი, ვ. დარჩია, დუტუ მებრელი, ვაჟა-ფშა-
ველა, ვ. აბაშიძე, მ. თაიძე (ხატვარი), ვ. თუმანიშვილი, კ.
მესხი, ლ. მეტრეველი, ი. მჭედლიშვილი, ნ. ნაკაშიძე, ნარკანი
დ. ნახუცრიშვილი, ი. ნიკოლაძე, ტრ. რამიშვილი, ვ.
ურუშაძე, კ. ყიფიანი, მ. ყიფშიძე, ს. ვალობლიშვილი,
ვ. შალიკაშვილი, ა. შანშიაშვილი, ო. შმერლინგი, (მხა-
ტვარი) ცნობილი მწერლები და მხატვრები. ხ. ნაკაშიძე
გ. ყიფშიძე, კლიშეები მზადდება ქართულთა მხ.

ცინკოგრაფიაში.

გაგზავნით დამატებებით ერთი წლით 5 მან. ნახევარ-
რი წლით 3 მან. თითო ნომერი 10 კ. ფულის შემოტანა
შეიძლება ნაწილ-ნაწილად: ხელს მოწერის დროს 2 მ.,
დანარჩენი ორ ნაწილად. ხელის მოწერა მიიღება ტფი-
ლისში დრამ საზოგ. კანტორაში იცსებ იმედაშვილთან;
ფოსტის ადრესი: Тифлисъ. контора груз. драм. О-ва,
Иос. Имедашвили.

რედაქტორ-გამომცემელი იოსებ იმედაშვილი.

ბარ. კილაძის სტამბა

ბეჭდვითა საქმე, (უწინ ცისკარი) ველიამინო-
ვის ქუჩა №6 — ასრულებს ყოველ გვარ სასტამბო
საქმეებს სუფთად და იაფად.



ფ რ მ ე ბ ა

ჟურნალში დაიბეჭდება: მოთხრობები, ლექსები, როგორც ორიგინალური ისე ნათარგმნი, კრიტიკული წერილები, ბიბლიოგრაფიები, ბიოგრაფიები და სხვა

მონაწილეობას მიიღებენ:

ნ. ახანია, ასასშირედი, ბ. გელა, გ. გავთვასი, ივ. გამართელი, ნ. ზამქელაძე, შ. იასაძანი, ზ. ირეთელი, ა. ლალიანი, დეო, რ. დეხსუქელი, ვ. მალაქიაშვილი, ი. ნიკოლაიშვილი, ა. რაფაელაძე, ტ. რამიშვილი, ვ. რუსაძე, ფ. რუშაველი, ვ. ტუქსიშვილი შვარცი და სხვანი.

ჟურნალი ღირს:

ერთი წლით	—	— 5 მან.
ნახევარი წლით	—	— 2 მ. 50 კ.
ერთი თვით	—	— 50 კაპ.
თითო ნომერი	—	— 10 კაპ.

წლიურ ხელის მომწერო

პირველ პირვით მიეცემათ სტამბიანი მოთხრობა „სახლი ვოლვის ნაპირზე“.

მეორე პირვით—**ოცათმლის** ოთხ-მოქმედებიანი ახალი პიესა „სიტყვი“.

პირველი წიგნი დაურბდებათ თებერვლის დამლევს, მეორე აგვისტოს პირველ რიცხვებში. აგრეთვე დეკემბრის ნომრები უფასოთ გაეზიარება. ვინც თებერვლის დამლევამდე მთელი წლის ფულს შემოიტანს ორივე წიგნს მიიღებს.

ჟურნალის გამოწერა შეიძლება თფილისში: გაზ. „მომავლის“-ს რედაქციაში: ბ. კალანდაძესთან; წიგნის მალაზია „ალიონში“ ვ. გადილიასთან, კიროსნი ქუჩა № 9; „პეტროვ დელო“-ში, ველიამინოვის ქუჩა № 6 ბ. კალანდაძესთან.

ქ ა ლ ა ქ გ ა რ ე თ ი

ქუთაისში: წიგნის მალ. „იმერეთში“; ის. კვიციანიძესთან; სამტრედიის რკ. გზის შკ. ყ. კობალაძისთან; ბათუმში—რკ. გზის შკაფში გ. მახარაძესთან; ჭიათურაში—მასწ. ვ. ხურაძესთან; ხობატურში—წიგ. მალ. ს. თავართქილაძესთან; ოზურგეთში—წიგ. მალ. მ. თალაკვაძესთან; და რკინის გზის ყველა სადგურებზე, სადაც წიგნის შკაფებია.

წერილები და ფული დროებით ამ ადრესით უნდა გამოიგზავნოს: **Тифлисъ, Типографіа Печатное дѣло, Вильяминовская ул. № 6. Поліевкту Антоновичу Каландадзе.**

გამოდის ყოველ დღე, —კვირაობით სურათებიან დამატებით. გაზეთის, ფასი დამატებიანა: წლით 8 მ. და 50 კ., ნახევარი წლით 4 მ. 80 კ. ერთი თვით 80 კ. ფულის გამოსაგზავნი ადრესი: **Тифлисъ, редакція „Дრობა“, И. С. Агладзе.**

გამოდის 1,10 ჟღი, საშუაწვილო სურათი-ბიამი შუხანალი

„ნაკადული“

წელიწადი მეექვსე,

ხელის მოწერა მიიღება თფილისში: „ნაკადულის“ რედაქციაში (გოლოვინის პროსპექტი, 8) და წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მალაზიაში (თავად-ახნაურობის ქარვასლა).

1910 წლის 1-ლ იანვრიდან 1911 წლის 1-ლ იანვრამდის მიეცემა ხელის მომწერლებს: 24 წიგნი მცირეწლოვანთათვის, 12 წიგნი მოზრდილთათვის.

გარდა ამისა მიეცემა პირვით საბავშვო უნივერსიტეტი (საქეცნიერო პოპულიარული ბიბლიოთეკა ბავშვებისათვის):

- 1) დედამიწა და კუდიანი ვარსკვლავი—ზღაპარი ევალდისა,
- 2) მარჯნები—ზღაპარი ევალდისა,
- 3) თორმეტი და—ზღაპარი ევალდისა,
- 4) ქართული მხატვრული ასოები კუბიკებზე.

ფასი ჟურნალისა:

წლიურათ—ხუთი მანეთი.
ნახევარ წლით ორივე გამოცემა—სამი მანეთი.

სახლვარ-გარეთ

წლიურათ—შვიდი მანეთი,
ნახევარი წლით—ოთხი მანეთი.

მცირე-წლოვანთათვის 24 წიგნი 3 მანეთი, მოზრდილთათვის 12 წიგნი—3 მანეთი.

რედაქტორი: მარამ ივანეს ასული დემურაძე.
გამომცემელი: თ. ზაფხუ იოსების ძე თუმანიშვილი.